

# საბავშვო ჟურნალი



# თ ა მ ა უ მ ბ ა ნ ი

## გ უ ნ დ ა მ ა

ამ თამაშის წარმოება შესაძლებელია ზამთარში თოვლიან დღეებში. მოთამაშენი ორ ნაწილად გაიყოფიან და დაშორდებიან ერთმანეთს 15-20 ნაბიჯით. თითოეული მოთამაშე ამზადებს თავისთვის თოვლის გუნდებს. როდესაც ყველანი საკმაო რაოდენობით მოამზადებენ გუნდებს, წინამძღოლი მისცემს ნიშანს და მოთამაშენი დაუწყებენ ერთმანეთს გუნდების სროლას. მოგებულის ის ჯგუფი დარჩება, რომელიც აიძულებს მოწინააღმდეგეს გაიქცეს ან უკან დაიხიოს.

**თამაშის წესი:** 1. გუნდების სროლას მხოლოდ განკარგულების შემდეგ იწყებენ.

2. აკრძალულია გუნდის მაგრად შეკუმშვა.
3. დაუშვებელია გუნდის მაგრად გარტყმევა (ან სახეში ვარტყმევა).
4. წინამძღოლის განკარგულების შემდეგ გუნდების სროლა უნდა შეწყდეს.

## ბავშვისგვარკვამულის ცეცხლი.

მოთამაშენი ორ ნაწილად გაიყოფიან. თითოეული მოთამაშე ამზადებს თავისთვის ერთ თოვლის გუნდას. შემდეგ კედელზე ორ მოზრდილ წრეს მოხზავენ (ნახშირით). თითოეული ჯგუფი თავის საკუთარ წრეში ისვრის გუნდას. თამაშის დამთავრების შემდეგ დითვლიან მოხვედრილი გუნდების რაოდენობას და მოგებულის ის ჯგუფი დარჩება, რომელიც უფრო მეტ გუნდას მოარტყავს თავისი ჯგუფის წრეში.

## ბრძოლა სიმაგრისათვის.

რგოლთა შორის იმართება შეჯიბრი—ვინ უფრო მეტს თოვლის გუნდებს გააკეთებს განსაზღვრულ

ლი დროის განმავლობაში. შემდეგ მოთამაშენი თოვლიდანვე, ერთმანეთის პირდაპირ, აკეთებენ ორსიმაგრეს. ორ ნაწილად გაყოფილი კოლექტივი დამატებას სიმაგრეებს და თითოეული ნაწილი აღმართავს თავის სიმაგრეზე დროშას. თამაშის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ჯგუფი ცდილობს წართვას მოწინააღმდეგეს დროშა და თავის სიმაგრეში წაიღოს. თითოეული რაზმი ირჩევს თავის წინამძღოლს, რომლის განკარგულებას ყველანი ემორჩილებიან. თამაშში თოვლის გუნდები უნდა იხმარონ.

ბრძოლის დროს თუ რომელიმე რაზმის წევრს თოვლის გუნდა სამჯერ წელს ზევით მოხვდა, იგი მოკლულად ითვლება და თუ წელს ქვევით (აგრეთვე სამჯერ)—დაქრილად და ბრძოლას თავს ანებებს.

შეიძლება იერიშზე გადასვლა, ხოლო უხეშობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

**თამაშის წესები:** 1. ამ თამაშში მონაწილეობა შეუძლია მთელ კოლექტივს.

2. ამ თამაშობაში შეიძლება დაშვებულ იქნენ პიონერები 12-16 წლამდე.
3. თოვლის გუნდა არ უნდა იქნეს მაგრად შეკუმშული.
4. არ შეიძლება გუნდის სახეში ვარტყმევა.
5. აკრძალულია საერთოდ უხეშად მოქცევა.
6. თოვლი მშრალი უნდა იყოს.
7. თამაშმა ბავშვები არ უნდა გაიტაცოს და იგი მეტად ხანგრძლივი არ უნდა იყოს.
8. თუ წინამძღოლი ამჩნევს, რომ თამაშში უხეშ სახესღებულობს, იგი უნდა შესწყვიტოს.


## შ ი ნ ა რ ს ი:

1. პარიზის კომუნა . . . . .	2	7. ჩვენი ცხოვრება და მუშაობა . . . . .	21
2. გაუმარჯოს კომუნას—ხ. ერთაწმინდელის . . . . .	3	8. ბუნების წიაღში—ხფინქხის . . . . .	22
3. პატარა დელეგატი—ე. პოლუმორდვინოვის . . . . .	7	9. მეცნიერება და ტენიკა . . . . .	23
4. მტკვარი უღელში—ზ. დარჩიასი . . . . .	15	10. ქადრაკი . . . . .	24
5. პიონერ-ბუდიონელები—ედ. ლინგის— . . . . .	18	11. თამაშობანი . . . . .	კანზე
6. დავენბაროთ რევოლუციისთვის მებრძოლთ . . . . .	20		

329.153 (05)

3-47.

მუშათა კლასის საჭმისათვის იუვენგ მუშაობა



# კომუნისტი

1928

15 მარტი

განათლების სასკოლო კომისიისთვის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საცდითოების მ. კ. თ. ცენტრალური მიერთის (საქ. ა. ლ. კომპარტიის ცენტრალური) შერჩეული მკვლევართვის

წელიწადი III  
№ 5



პარიზის კომუნის გამოცხადება 1871 წ. 18 მარტს.

# პ ა რ ი ზ ი ს კ ო მ უ ნ ა

ვის არ გაუგონია პარიზის კომუნის შესახებ!  
ვინ არ აღფრთოვანებულა პარიზის კომუნარების გამირობით და თავდადებით!

ვინ არ იცის, რომ პარიზის კომუნა იყო მუშათა პირველი ხელისუფლება, მუშათა პირველი მაგალითი პროლეტარული წესწყობილების შესაქმნელად!

ყოველ წელიწადს ვიგონებთ ამ დიად მოძრაობას, მის მონაწილეებს.

რით არის დღეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი პარიზის კომუნა?

1871 წლის 18 მარტს დაჩაგრულმა და დამშეულმა მუშებმა გარეკეს მდიდრების მთავრობა და თვითონ აიღეს ხელში ხელისუფლება. მდიდრები გაიქცენ ქალაქიდან. მათ დაეხმარა გერმანიის მთავრობა, რომელმაც წინა ხანებში ომში დაამარცხა საფრანგეთი. გერმანიამ საფრანგეთს დაუბრუნა ტყვე ჯარისკაცები, რომლებსაც, მდიდრების კარნახის თანახმად, უნდა გაენადგურებიათ რევოლუციონერი ქალაქი; მდიდრებმა მოატყუეს გაუნათლებელი გლეხები, შეაშინეს ისინი, რომ პარიზის მუშებს სურთ მათთვის მიწების ჩამორთმევა. მეტად მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა მოიყარა თავი აჯანყებულ მუშათა წინააღმდეგ. 27 დღის განმავლობაში მთელი მუშები, პარიზის მთელი ლარიბი მოსახლეობა იცავდა თავის ხელისუფლებას მტრების შემოსევისაგან. ბავშვები ეხმარებოდნენ თავის უფროს ძმებს და მამებს. იმათ მიჰქონდათ სანგრებში საჭმელი, ისინი ეზიდებოდნენ მებრძოლებთან ტყვიებს. მრავალი ბავში გაიგმირა მტრის ტყვიით...

72 დღეს იბრძოლა მუშათა პარიზი. მაშინ ისინი ჰქონიდნენ მუშათა პირველ ხელისუფლებას, რომელიც დაბოლოს, 28 მაისს, განადგურებულ იქნა. ამის შემდეგ 30.000 მამაკაცი, ქალი და ბავში იქნა დახვრეტილი გამძვინვარებული ბურჟუაზიის მიერ, ხოლო 45.000 კი სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით გადასახლებულ იქნა რამოდენიმე წლით ან სამუდამოდ კატორღაში. მათგან უმეტესობა არც კი დაბრუნებულა სამშობლოში, ისინი იქ დაიღუპნენ.

პარიზში მაღალ მთაზე არის ძველის-ძველი სასაფლაო, რომელსაც ფრანგები „ჰერ-ლაშეზს“ უწოდებენ. სასაფლაოს გარშემო ხმაურით მიმდინარეობს უდიდესი ქალაქის ცხოვრება, ხოლო აქ, მთაზე, მაღალი კედლებით შემოვლებულ ადგილზე სრული სიჩუმე სუფევს. მაგრამ წელიწადში ერთხელ ეს სასაფლაოც იღვიძებს. სასაფლაოს ყველა

შემოსასვლელ კარებთან თავს იყრიან პოლიციელთა მრავალრიცხოვანი რაზმები, პოლიციელნი გამძვინვარებული შესცქერიან, თუ როგორი განუწყვეტელი რიგებით მოდიან მუშები თავისი ოჯახებით სასაფლაოზე. მოხმაურე ხალხი არღვევს სასაფლაოს ჩვეულებრივ სიწყნარეს. ყველა ისინი ერთი მიმართულებით მიდიან, სასაფლაოს ბოლოსაკენ, ყველაზე უფრო მაღალი კედლებისაკენ. აქ ყველაზე ბევრი პოლიციელია თავმოყრილი, ისინი არავის არ აძლევენ აქ შეჩერების უფლებას, არავის არ აძლევენ ლაპარაკის ნებას. თითქმის ყოველ წელს სცემენ აქ პოლიციელები მუშებს, ატუსაღებენ იმათ, ვინც მოინდომებს სიტყვის თქმას. და ყოველივე ეს ყოველწლიურად ხდება.

რათ მიიწვევენ მუშები მღუმარებით მოცული კედლებისაკენ?

57 წლის წინათ, 28 მაისს, ამ სასაფლაოზე ამ კედელთან დაამარცხეს მუშათა პირველი კომუნის, მუშათა პირველი სახელმწიფოს უკანასკნელი დამცველები. სწორედ აქ ისროდნენ კომუნარები თავის უკანასკნელ ტყვიებს, აქ ჩაიგდეს ისინი ტყვედ, დახვრიტეს, ამ კედელთან, და აქვე ხვრეტდნენ მთელი კვირის განმავლობაში სხვა ადგილებში ტყვედ ჩავარდნილ მუშებს. აქ, ამ კედელთან განისვენებენ მუშათა პირველი მთავრობის დამცველები.

მუშათა პირველი ხელისუფლება სისხლის მორევში იქნა ჩახრჩობილი. მაგრამ მას არასდროს არ დაივიწყებენ პარიზისა და მთელი ქვეყნიერების მუშები.

და, აი, შორს პარიზისგან, რუსეთის მაშინდელ სატახტო ქალაქში, ლენინგრადში, ომის მიერ დამშეული და დატანჯული მუშები 1917 წლის 25 ნოემბერს პარიზის მუშების მსგავსად მოიქცენ. მათ ჩამოაგდეს მდიდრების მთავრობა და შეჰქმნეს თავისი მთავრობა, საბჭოთა ხელისუფლება.

რუსეთის მუშებმა დააგვირგვინეს პარიზის კომუნარების საქმე, მათ შესძლეს ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ პარიზის კომუნამდ იმათ დაიწყეს მზადება რევოლუციისათვის. მათ შეჰქმნეს თავისი მუშათა კომუნისტური პარტია, მათ წამოაყენეს თავისი ბელადად დიდი მასწავლებელი ლენინი, კარგად შეისწავლეს პარიზის კომუნის ისტორია, არ გაიმეორეს ის შეცდომები, რომელიც დაუშვა პარიზის კომუნამ.

და, აი, ახლა, პარიზის კომუნის 57 წლის თავზე, ამაყად ფრიალებს კომუნარების წითელი დროშა ქვეყნიერების ერთ მეექვსედ ნაწილზე.



# საქართველოს კომუნას

ა.

— მე თუმცა პატრა ვიყავი მაშინ, მაგრამ ისე კარგად მახსოვს ყველაფერი, თითქოს გუშინ მომხდარიყო. ბავშობის დროის ამბავი რომ დავახსოვდებო, ისე სხვა არა. — უთხრა მოხუცმა ვაიან კორნემ შავი ქვრივის უბნიდან და სათვალეები გაისწორა...

ახალგაზრდა მუშა, მონმარტირიდან „დიობა და კომპანიას“ პარფიუმერიის ფაბრიკიდან, ლეონ დარიე, სიამოვნებით უსმენდა „ხვრელების თხუნელას“, როგორც მარტინისუბნელები ეძახდნენ ვაიან კორნეს, პარიზის კომუნის დროის ბავშვს და ეხლა ძველი ისტორიული ნაშთებით მოვაჭრეს როზიეს ქუჩაზე.

ვაიან კორნეს ხშირად, როგორც საზოგადოდ სჩვევიათ ანტიკვარებს (ისტორიული ნივთებით მოვაჭრეებს) უყვარდა ხოლმე ტყუილი, როდესაც მასთან შესულ რომელიმე არისტოკრატს, ან ვინმე კარგად გამოწყობილს, — მეტადრე თუ შეატყობდა, რომ უცხოელი იყო ვინმე, — დაუწყებდა ჩვენებას თავისი ნიმუშების, აჩვენებდა კოლექციის სერიებს, მაგრამ თუ პარიზის კომუნიდან დაიწყებდა მოთხრობას, მაშინ კორნეს სულ სხვა იყო; ის ამაცობდა იმით, რომ კარდინეს ქუჩაზე მებრძოლ ბავშვთა ბარიკადაზე ისიც იბრძოდა. ის ენად გადაიქცეოდა ხოლმე და ლუდხანა „ღამურას“ პატრონსაც, სადაც ეხლა ის იჯდა ლეონთან ერთად, ეს უხაროდა.

— მამაშენი მე გავიცანი კორსიკაზე, მაშინ ის იუნგა იყო ხომალდ „კალედონიაზე“, მე მაშინ უკვე ასაკში შესული ქაბუკი ვიყავი... პორტ-საიდს მივიღოდი, ეგვიპტეში, კოლექციების შესაძენად, რაც დავალეებული მქონდა მოსიე ლილე ჟორნაუსაგან, ვისთანაც მე კომუნის დამარცხების წინ მიმბარა მამაჩემმა, კალატოზმა რენემ, როგორც მას ეძახდნენ სენის ნაპირებზე მობინადრე ძონძებით მოვაჭრენი. ის ჩემი პატარა ღუქანი ჟორნაუსი იყო და როცა მოკვდა, არავინ დარჩა ჩემს მეტი მემკვიდრედ. ჰო, იმას მოგახსენებდი, იქ გავიცანი მეთქი მამაშენი, იმასაც ვგრე უყვარდა გამოკითხვა, როგორც შენ. ეჭვ, პარიზის კომუნა აბა ვის არ შეუყვარდებოდა... „კალედონია“ ალექსანდრიაში გაჩერდა და რადგან

ნაც დღენახევარი უნდა მდგარიყო, ვისარგებლე ამითი და ძველ უბნებს მოვედე...

განაგრძობდა კორნე და თან ჩიბუხს აბოლებდა, რომელიც მალ-მალ უჭრებოდა, რადგანაც, რა ლაპარაკში გაერთობოდა, ჩიბუხი ავიწყდებოდა...

ლეონ დარიე სიამოვნებით უსმენდა ანტიკვარს, როგორც პარიზის კომუნის მომსწრეს და თანაც მისი მამის მეგობარს, სიამით ხვდებოდა და რა ფ ბრიკაში შაბაში დაიწყებოდა, ის უეჭვლად გაუვლიდა ხოლმე ხვრელების თხუნელას, და თუ ღუქანი დაკეტილი დახვდებოდა, მაშინ იცოდა, რომ ის „ღამურაში“ იქნებოდა და შეუხვევდა იქით...

— მუსიე კორნე, შენ ერთი ის მიაბე, გუშინწინ რომ შესწყვიტე, პერ-ლაშეზზე ცოცხლად როგორ დაგმარხეს, და... — უთხრა ლეონმა.

— ჰო, ეს იყო 25 მაისს. — დაიწყო კორნემ...

ბ.

— კომუნის უკანასკნელი დღეები იწურებოდა, — დაიწყო ანტიკვარმა. — საშინელი იყო ვერსალელების შურისძიება. რა ტურტიეს ქუჩის ბარიკადაზე დაეცა მამაჩემი, რომელსაც თან ვახლდი და ვახნებს ვაწვდიდი, ზუავემმა, აფრიკელმა ფერადკანიანმა ჯარებმა, რომელნიც გენერალ მონტალონის დივიზიაში შედიოდნენ, ზურგიდან შემოგვიარეს. კომუნარები ეცემოდნენ ყივილით:

— გაუმარჯოს კომუნას!..

ეს იყო მათი უკანასკნელი, სიკვდილის წინა თქმა...

საქირო იყო ამ ამბის შეტყობინება დაცვის კომიტეტში, ანუ კომუნართა იმ უბნის შტაბში, სადაც კომუნის უკანასკნელ წუთამდე ფხიზლად იყო კომუნის გვარდიის ლეიტენანტი პოლ ჟანიო, და ბარიკადის დაჭრილმა მეთაურმა მე ამიჩინა იმ დავალების აღსასრულელებლად: შენზე, როგორც პატარაზე, შეიძლება ეჭვი არ აიღონო, მაგრამ გზა გადაჭრილი იყო და ვიცოდი, არც ბავშვებს ინდობდნენ... ბევრი აღარ მიფიქრია, ფრანცისკას გალავანში ვისკუპე, რომ ავცდენოდი ჩემსკენ გამოქანებულ ზუავის ხიშტს.

— მიშველეთ! — ვიყვირე, რა სახლის მეორე საართულზე ამოვყავი თავი...

— აა, კომუნის ლეკვი?! ხა! ხა! ხა!..— გაღიხარხარა პატერმა, რომელიც ჩემ ყვირილზე გამოვიდა გარეთ და სიმსუქნისაგან გაბერილი ფაშვი ზედ ცხვირზე მომადვა...

— მიშველეთ, ზუაფი მომდევს, დამხოლოთ... ობოლი ვარ. მამა ბარკადაზე მომიკლეს.— დავუჩოქე, შევევდრე...

ამ სიტყვებმა გამახსენა ჩემი პატარა დამბაჩა, რომელიც უბეში მელო და ცოტა განზე დამღვარმა მიუღუშვირე სიტყვებით:

— სანტა პატერ, დამხოლოე, ან მიჩვენე გზა აქედან უვნებლად გავიდე, თორემ აქავე გაგათავებ!—

— აისე ადი და ბანიდან მეორე სახლზე გადახვალ, შე გიყების შთამომავლო!— ისე დაიბნა ში-



1871 წ. 18 მარტს პარიზის მუშებმა ხელში ჩაიგდეს არტილერია.

— რაო?! გასწი, მოშორდი! თქვენმა კომუნამ გიშველოს!— დამიღრიალა და ჩემ კვალს გადაცდენილ ზუაფს დაუწყო ძახილი:

— ეი, ეი, კაპრალი! აქეთ, აქეთ!..

შევატყე, რომ ცუდად იყო საქმე, კაპრალი მწვადსავით ამაგებდა ხიშტზე და პატერის გაუტანლობამ, გაცემამ და შეუბრალებლობამ ამაღელვა, სიბრაზისაგან თვალები დამიბნებლდა, ველი სიკვდილს. და თითქოს ვილაცამ წამკრა, თითქოს ვილაცამ მიკივლა; გამახსენდა წინა დღეების სურათები, კომუნარების თავდადებული ბრძოლა პარიზის დასაცავად, მათი თავდადებული სიკვდილი და მამიჩემის სიტყვა:

მე ვკვდები, შვილო, და გ-ხსოვდეს შურისძიება!

სწრაფად წამოვხტი და ჩემდა უნებურად თუ განზრახ ისე მოვხვდი თავით პატერს, რომ ამოდენა კაცმა შეჭკენესა, ფერმიხილილი კედელს მიეყრდნო:

— მომკლა ამ სატანის კერძმა!— იყვირა მან.

შით, რომ შეიძლება არც კი უნდოდა, მაგრამ მაინც მაჩვენა კიბე, საიდანაც სახლის ბანზე მოვექეცი. უკანიდან მესმოდა პატერის წყევლა და შეჩვენება, მაგრამ, როგორც ხედავ, ახლაც ცოცხალი ვარ და ის მეორე კვირასვე ჩაძაღლდა...

ბანზე ვარ, ვიყურები და ვათვალიერებ ირგლივ, გზა არ ვიცი, მაგრამ გაჭირდება თურმე თვითონ მოგაძებნიანებს გზას და მეც გავსწიე ერთი ბანიდან მეორეზე...

ბინდლება...

ვათვალიერებ ჩემს დაშახას, გატენილია თუ არა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, შიგ ტყვია არ არის. აქ გამახსენდა, რომ უკანასკნელი ტყვია ნაშუადღევს ვესროლე ბარკადიდან შემომტევე ზუაფებს, რა მამაჩემი დაეცა...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყიალე ბანიდან ბანზე. უმთვარო ღამეს უკვე ვარსკვლავები ჩამოეკიდნენ ელექტრონის ლამპრებით და ჩემი სავალი



გზაც გათავდა. მეტი სახლი არაა. მივაღეკი უკანასკნელ კედელს..

გადავიხედე ქუჩაზე და სამსართულიანი სახლის ბანიდან გარკვევით გავარჩიე ვიწრო ქუჩა. არავინაა თითქოს, ბნელა, მაგრამ მაინც ვარჩევდი, რომ ვიღაცები იყურებოდნენ ფანჯრებიდან და ქუჩაზე კი რამდენიმე ლანდი ფუსფუსებდა...

ხან ახლოს და ხან შორს ისმის კანტიკუნტი სროლა...

— ჰმ. ვიღაცა გააცია იმ ტყვიამ, მაგრამ ვერსაღელები საა თუ კომუნარების?— გამიელვა ფიქრმა.

აშკარად ჩანს, რომ მე კარგა მანძილით დავშორდი ჩვენს შტაბს, რომელიც ახლა რომ კაფე ლიონია, იმის თავზე იყო მოთავსებული...


ვიწყე ჩამოსვლაზე ფიქრი, მიუხედავად იმისა, რომ მშიერი ვიყავი, საძილედ თვალები მეგლიტებოდა და სიამოვნებით წაფთვლემდი ამ ბანზე, თუნდაც მაისის ამ ცივ ღამეში...

ეტყობოდა, რომ განაპირა უბანში ვიყავი, სადაც ბაღები ჰყვავდნენ და საიდანაც ნიავს მოჰქონდა ნუშის, იასამნის და ნაადრევი ვარდის სურნელები.

ჰყვავის, ახალგაზრდავდება, მწვანე მანტიას ისხამს მხრებზე და ზედ ღილებად ეკერება წითელი ყვავილები? რატომ უნდა სძლევდეს სიცოცხლეს სიკვდილი და რად არ უნდა შლიდეს ფრთებს სიხარული და სიყვარული? კომუნა ხომ ძალიან უყვარდათ მაშინდელ მეგრძოლებს? ან რას ვიფიქრებდი, რომ ვერსაღელები ჰკრავენ კუბოს, სადაც ხუთიოდ დღის შემდეგ უნდა ჩაწვეს კომუნის დაფლეთილი სხეული, რომელსაც გაანიაგებენ სისხლით მორწყულ ქუჩებზე, ბულიონის ტყეში, მარსის ველზე, მონმარტის ვიწრო მოსახვევებში და პერ-ლაშეზის სასაფლაოზე? .

ბ.

ლუდხანა „ღამურაში“ უფრო კალატოზებს, ღურგლებს, ზეინკლებს, ქვისმტვრევლებს და იშვიათად სხვა ვინმეს—ჯარისკაცს, ან სენელ მეძონძეს თუ შეხვდებოდით, ცოტა სუფთა ტანსაცმელში მხოლოდ კორნე და ლეონი იყვნენ; და პატრონიც, რომელიც ლუდისაგან ისე იყო გასიებული, რომ თვითონ ლუდის კასრი გეგონებოდათ, უფრო მეტ ყურადღებას ამათ აქცევდა...



იერიშები კომუნართა შტაბზე ვანდომის მოედანზე.

ბა, რომელიც გამაბრუებლად მოქმედებდა ყნოსვაზე და მაფიქრებდა:

— რატომ უნდა იყოს გამეფებული ახლა სიკვდილი, ამ გაზაფხულის პირზე, როდესაც ბუნება

უკვე შუალამეს მიატანა, რომ ისევ აქ ისხდნენ.

კორნემ ბევრჯერ დააპირა წასვლა, მაგრამ ლეონი ისე გაერთო წინაპარ კომუნართა ბრძოლის სურათების აღწერით, რომ მელუდხანეს შეუკვეთა არ-

ღანის დაკვრა და ნახევარფრანკიანი გადასცა ჩასადებდალ..

ამითი მაინც სურდა მოთხრობით დაღლილი ანტიკვარის დაბანდება...

აღრიალდა არღანი...

ამავე დროს შემოვიდნენ მოხეტიალე ჯამბაზები მემუსიკიანად და გაჩაღდა ცეკვა, თამაში...

— ჰო, მერე, ვაიან კორნე, ბანიდან როგორ ჩამოხველი?

— როგორ და, რადგან რაღაც გინდა დამჯდომოდა უნდა შემესრულებინა დავალება, გადავწყვიტე ღამით მესარგებლა და რა უნდა საწვიმე მიღს ჩამოკულოდი, შევნიშნე ვიწრო კიბე, რომელიც, ეტყობოდა, მახანძრეთათვის უნდა ყოფილიყო.

ჩავეყე... მაგრამ მეორე სართულზე თავდებოდა. აქ არც თუ ისე მალლა იყო და ბევრი არ მიფიქრია — ვისკუბე და ახალად აყვავებულ აკაციის ხის ტოტზე ჩამოვეკონწიალე...

კედელ-კედელ აყუდებით გავესწიე და თან ვათვლიერებდი, რომ ვერსაღელე ჯარისკაცებს არ შევხებოდი. თუმცა გუშინ ეს მხარე კიდევ კომუნარების ხელში იყო, მაგრამ შეიძლება ესეც აიღეს, ისევე, როგორც ჩვენი ბარაკადა...

— შესდექ! — მიყვირა ვიღაცამ და ჯოხზე წამოცმული შუბი პირდაპირ გულზე მატაკა.

ჯერ თუმცა ფერი მეცვალა ალბათ, მაგრამ მერე გამეკინა...

მომავონდა, რომ ვერსაღელეებს ასეთი იარაღი არ ჰქონდათ...

— ვინა ხარ, შენ, ეი, ღამის ტურა, ვერსაღელეების ჯამუში? — შემომიტია, შეკითხვით, მეშუბემ.

— გაუმარჯოს კომუნას — შეეძახე, რადგანაც შევნიშნე, რომ ისიც ჩენაირი ღამის ტურა იყო, დაგლეჯილძონძებიანი ბიჭი...

— ოჰო? მაშ ჩვენი ხარ? — შემეკითხა გახარებული, შუბი მომაშორა და ხელი გამომიწოდა.

ამასობაში სხვებიც მოგვიახლოვდნენ იმის ნიშანზე, რა ორი თითი ჩაიდო პირში და დაუსტვინა.

არც თუ ახალმოსულნი იყვნენ მასზე დიდები და უკეთესად ჩაცმულ-შეიარაღებულნი, თუ არ მივღებთ მხეღველობაში ერთს თოფიანს, რომელსაც თოფი მოკლული გვარდიელისთვის აეცლია და მეორეს, რომელსაც, ალბათ, იმავე გვარდიელის ხმალი ჰქონდა, რომელიც თითქმას იმაზე გრძელი იყო, ვისაც ეკიდა და მიწაზე დაათრევდა რახუნით...

— რას გვიყურებ ასე გაკვრვებით? იქნებ გგონია, რომ ამ მ ტი იარაღი არა გვაქვს?

— შეხედე ბარაკადაზე? — მითხრა ერთმა მათგანმა, რომელიც ალბათ მიხვდა ჩემ მიერ მათ თვალთვრებას გაკვირვებით და ქუჩის მოსახვევზე მიმიშვირა ხელი,

სადაც ეყარა გადაბრუნებული ორთვალა, ლუდხანიდან გამოგორებული კასრი და სახლის დამტვრეული ავეჯეულობა...

— ეს ბარაკადა დილას წავგართვეს ვერსაღელემა ტიერის ფინიებმა, მაგრამ რა ისინი წავთრენ, ჩვენ, ვინც გადავრჩით ცოცხლები და დავიმალეთ ახლომახლო ეზოებში, ისევე აღვადგინეთ. შენც თუ კომუნარი ხარ, მოდი ჩვენთან და დავიცვათ ეს ბარაკადა, თუ ვინიცობაა კიდევ დაბრუნდენ ისინი! — მითხრა ემილმა, როგორც ეძახდნენ სხვები და მათ მეთაურობდა...

გამომკითხეს ვინაობა, ვინ ვიყავი, საიდან მოვდიოდი, ან საით იყო ჩემი გზა.

მოკლედ ვუამბე ყველაფერი და რა გაიგეს რომელი ბარაკადიდან მოვდიოდი და სად ვიყავი გაგზავნილი, უფრო შემომეხვიენ, ბარაკადაზე მიმიყვანეს, სადაც მოფარებით პატარა ცეცხლი ენთო და თბებოდნენ...

— პური გეშიება. — გამომიწოდა ლუიზამ, რომელიც ამათ მიწყალების დად ჰყავდათ ვითომ და ნამდვილად კი ხან შემას აზიდვინებდენ დახან წყალს.

— სიამოვნებით... გუშინ დელს აქეთ გემოთ არ მინახავს... — ვგონებ ასე ვუთხარი...

ბოლოს მათ დამიწყეს გამოკითხვა, თუ რა ხდებოდა სხვა ქუჩების ბარაკადაებზე.

მაგრამ მეც არ ვიცოდი და აბა რა უნდა მეთქვა?

— მაშ შენ ლეიტენანტ პოლ ჟანიოსთან ხარ გამოგზავნილი? — შემეკითხა ცოტა ხნის შემდეგ ემილი.

— დიად, და რაღაც გინდა დამიჯდეს, უნდა გადავცე დავალება... აი წერილი... — ვუპასუხე მე.

— დაგიგვიანია.

— როგორ?

— როგორ და, ის სხვებთან ერთად დილასვე გაუყენეს ვერსაღელეებმა პერ-ლაშეზისკენ.

მიახრა ემილმა და ამიწერა დილანდელი სურათი, დამარცხება, დახვრეტა, აჩეხვა...


სამარისებური სიჩუმე გამეფდა...

მე აღარ ვთვლიდი ღირსად ჩემს თავს, რომ კომუნის ბავშვის სახელი მეტარებინა, რადგან ბარაკადის უფროსის დავალება ვერ შევასრულე, თუმცა არაფერი ბრალი კი არა მქონდა...

ეს იყო კარდინეს ქუჩის ბარაკადა, სადაც ბატალიონი, რომელშიც ბავშებიც ერიენ, თავგანწირვით იბრძოდა, ეს ჩემი მოსაუბრენი და ამ შემთხვევაში მასპანძლებიც იყვნენ იმ ბატალიონის, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ორმოცდაათეულთა ნაშთი, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს პარიზის კომუნის დაცვის ისტორიაში...

(შემდეგი იქნება).





# პატარა ღელაშაბი

ლანი პატარაა, სულ თორმეტი წლისაა, მაგრამ ისეთი ყოჩაღია, რომ თავისი დაუზარელი შრომით მთელს ოჯახს არჩენს. მომწვანო თვალები უმშვენებს ოდნავ გაყვითლებულ სახეს, რომლის მოუსვენარი მოძრაობაც სიცოცხლის ელფერს აძლევს მას. ის ტოკიოში აღიზარდა. ძლიერ ხშირად უნახავს დიდი, თვალგაღუწვდენი ოკეანე, მის ქვეყანას რომ აკრავს ორი მხრიდან, და ყოველთვის, როდესაც კი გადაუწვდენია თვალი ცისა და მიწის შეერთების ხაზამდე, მისი პატარა გონება ფიქრებში შეცურებულა და დაჰბადებია შორეული ქვეყნების ნახვის სურვილი.

ტოკიოში ლანი გაზეთებს ჰყიდდა. დილიდან საღამომდე დარბოდა ხოლომე ქალაქის ქუჩებში გაზეთებით ხელში და გაჰკიოდა ბავშური წკრიალა ხმით:

— ახალი ამბებით სავესე გაზეთი!..

გამვლელები უცქეროდნენ ღიმილით, უცნაური დაძახილი იპყრობდა მათ ყურადღებას, ყიდულობდნენ გაზეთებს.

ამხანაგიც ბევრი ჰყავდა. ისინიც გაზეთებს ჰყიდდნენ. დაბინდებოდა თუ არა, იკრიბებოდნენ მივარდნილი უბნის დანგრეულ შენობებში, სთვლიდნენ დარჩენილ გაზეთებს და შემდეგ კი პურით და ყველით ვახშობდნენ.

ასე მიდიოდა ლანის ცხოვრება.

განთიადისას ილღიაში გაზეთებით გადიოდა სახლიდან და ბრუნდებოდა შინ დაღლილი, დაქანცული, ხშირად მშვიერიც, რადგან საქმელად ვერც კი იცლიდა.

ამ შემოდგომაზე ერთხელ ცივი და ქარიანი დილა გათენდა. ჰკნებოდა არემარე და გამხმარი ხეებიდან ცვიოდა გაყვითლებული ფოთლები. შავი, მძიმე ღრუბლები გადმოდიოდნენ მაღალი მთებიდან და საწვიმრად გამზადებულნი ქარს მიჰყვებოდნენ.

ლანი უმეციებული მოაბიჯებდა. მას უამრავი გაზეთი ეჭირა ხელში და ისე გაჰკინოდა თითები, რომ ვერც კი ახერხებდა გაზეთის ამოძრებას, რომ მყიდველისათვის მიეწოდებინა. მის ნახევრადგახეულ ტანსაცმელს აფრიალებდა ქარი და მთელ სხეულში უფლიდა სიცივე. მის წინ დადიოდა ხალხი, დაქროდნენ ავტომობილები, სრიალებდნენ ეტლები, ომნობუსები და მოაქროლებდნენ შიგ მსხდომთ. ლანს იტაცებდა ლამაზი ავტომობილები, მაგრამ ამ გატაცებას გულშივე იკლავდა.

ბოძთან გაჩერდა. თვალები გაუშტერდა და მთლად გადაავიწყდა, რომ გაზეთები გასაყიდი ჰქონდა.

აუწითლდა ყურები, სახე სანთელივით სუფთა და ყვითელი გაუხდა. რაღამაც შეიპყრო, გააბრუა.

— გაზეთი მომეცი... ვიღამაც ფილაქნიდან მიაძახა და ალიუმინის ფულგაწვდილი ხელი ელოდა გაზეთის მიღებას.

გაბრუებულმა ლანიმ მისი ხმა ვერ გაიგო.

— არ გესმის, გაზეთი მეთქი... უფრო ხმამაღლა განუმეორა მყიდველმა და რომ ქარს არ შეეწუხებინა, პალტოს საყელო აიფარა სახეზე.

ლანიმ კიდევ ვერ გაიგო. გაშეშებულ მკლავს, რომლის ქვეშაც ამოჩრილი ჰქონდა გაზეთები, უფრო მტკიცედ იკრავდა მკერდზე და ავტომობილს გაყოლებული თვალები უკან აღარ ბრუნდებოდნენ.

— აგერ, იმ ავტომობილში როგორ ეთბილება, შიგ არც ქარი შედის და არც სიცივე, რა ლამაზია, როგორ მისრიალებს? — ფიქრობდა ლანი და მისდა შეუმჩნეველად მწუხარების და მწარე სურვილების ხაზები გადაეკრა სახეზე.

— შენ, ეი, არ გესმის?... წაილაპარაკა ისევ მყიდველმა...

ეს იყო თხუთმეტი წლის ბიჭი, სუფთად ჩაცმული და კარგა ლანიერიც.

ლანი შეკრთა. ელვის სისწრაფით მიანათა თავისი მომწვანო თვალები ბიჭს, რომელიც მასზე ბევრად უფროსი იყო და კისრიდან ეწეოდა.

— რა გინდა ჩემგან, რა?.. ყელში ჩამხრჩვალნი ხმით წაელაპარაკა ლანი. გაყინული ხელებიდან კი კინალამ გაზეთები გაუფარდა.

— გაზეთი მინდა, — ხმადაბლა წარმოსთქვა მან და გაუწოდა გამზადებული ფული.

ლანიმ ძლივს ამოაძრო მთელი დასტა გაზეთებიდან ერთი ცალი და მიაწოდა მას.

— რას დამდგარხარ აგრე, განა გაყიდვა არ გინდა?.. თანაგრძნობით შეეკითხა იგი.



ლანი გაჰკიოდა წკრიალა ხმით: „ახალი ამბებით სახვე გაზეთი“

ლანიმ ვერაფერი ვერ უბასუხა. მაგრამ მის მაგიერ უბასუხებდნენ აკანკალებული კბილები და მორთოლაფი სახე.

— იცი რა, ამ გაზეთში ისეთი ამბები სწერია, რომ ყველა იყიდის. შენ დაიძახე: „საზეიმო ღღეები საბჭოთა რუსეთში“ და არცერთი გაზეთი გაუყიდავი არ დაგრჩება. ამ სიტყვებთან ერთად შემოტრიალდა და აპირებდა წასვლას, მაგრამ ისევ შეჩერდა და უთხრა:

— აი, ამ მისამართით მოდი ჩემთან, მე მქვია ფაუნე და გვარად ვონეკა ვარ.

მე დაგეხმარები მუდმივი სამუშაოს მოგებანაში. გაწვდილი ბარათი მიაჩეხა ხელში და გაუდგა კიდევ თავის გზას.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლანი უკვე ქუჩიდან ქუჩაში დარბოდა და გაჰკიოდა:

„საზეიმო ღღეები საბჭოთა ქვეყანაში“.

ეს ხმა ზარის წკრიალივით ვრცელდებოდა ჰაერში და მოსიარულე ხალხს გულამდე სწვდებოდა. ისინი ჩერდებოდნენ, გაშტერებულნი აცქერდებოდნენ პატარა მეგაზეთეს და მისი სიტყვებით ყიდულობდნენ გაზეთს.

— გაზეთი... გაზეთი!.. არა სწყდებოდა გამოცოცხლებული ლანის ხმა, — საბჭოთა ქვეყნის დიდი ღღესაწიული...

ხალხი ჩერდებოდა. აქა-იქიდან ეძახოდნენ მას და ყიდულობდნენ გაზეთს, მაგრამ მაინც ბევრი ჰქონდა.

ერთი უბნიდან მეორე უბანში გადადიოდა, გაჰკიოდა დაზეპირებულ სიტყვებს, მაგრამ უკვე საღამო იყო. დრო გაცდენილი ჰქონდა და აღარ ეყიდებოდა.

ამ სირბილში ერთ განაპირა უბანში გავიდა. იქ იდგა უზარმაზარი შენობები და თითოეულ შენობას ამართული ჰქონდა რამდენიმე მაღალი საკვამლე მილი. ლანი ამ მილებს თვალს ძლივს აწვდენდა. მილებიდან განუწყვეტლივ ადიოდა ცისკენ შავი კვამლი და ღრუბლებში ირეოდა. სწორედ ამ დროს გაისმა საყვირის ხმა, რაც კარგახანს გაგრძელდა.

ლანის ხშირად გაეკონა ეს ხმა. ეს მაშინ, როდესაც ამ უბანში ცხოვრობდნენ, მამის სიცოცხლის დროს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველა შენობის მძიმედ გადარახული კარები გაიღო და უამრავმა ხალხმა დაიწყო გამოსვლა. გამოდიოდნენ კაცები, ქალები, ბავშვები. თითქმის ყველას ერთნაირი ტანისამოსი ეცვა. მრავალ მათგანს სახე და ხელები ჟანგისფრად უკრთოდა და პატარა ჩავარდნილ თვალებს სწრაფად აელვარებდნენ, იცქირებოდნენ ყოველ მხარეს; შესცქეროდნენ ღრუბლიან ცას, დამალული მზის გამოპარულ სხივებს, ღრმად ისუნთქავდნენ ჰაერს, თითქოს დღის სინათლეს დანატრულებული არიანო.

ახალ-ახალ ტალღებად აწვებოდნენ ღია კარებს, მაგრამ შენობები კი არ იცლებოდა. ესენი იყვნენ ქარხნის მუშები.

— საზეიმო ღღეები საბჭოთა ქვეყანაში!.. დასძახა ლანი და დროშასავით აფრიალებული გაზეთი გაშალა ქარში.

მუშებში ჩოჩქალი შეიქნა. ერთიმეორის დასწრებით მისცვივდნენ ლანის და ართმევდნენ გაზეთს. რამდენიმე წუთის განმავლობაში სულ გაჰკიოდა. სიხარულისაგან რამდენჯერმე შეებტა ადგილზე, რაღაც შეჰყვირა და სტვენით გაიქცა. გადაავიწყდა სიმშლიც და სიცვიც.

ფაუნის ბარათი მოაგონდა გზაში. ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე მოძებნა შიგ ალნიშნული მისამართი და ერთ წითლად შეღებილ საღარბაზო კარზე დამაგრებული ზარი დააწკრიალა.

ქრელ და ფართე კაბაში გამოწყობილმა ქალმა გააღო კარი. კაბის ქვედა ნაწილზე შემოვლებული ჰქონდა ოქროსფერი არშია და მოუჩანდა პატარა ფეხები, ბრჭყვიალა ქოშებში გამოწყობილი.

ლანიმ ბარათი გადასცა. ქალმა რამდენჯერმე დახედა, მაგრამ ვერაფერი ვერ წაიკითხა, ბარათი კი ეცნაურა, ხშირად უნახავს საწერ მაგიდაზე.

ოთახში შესვლა სთხოვა.

ამავე დროს კარებში ფაუნის გამოჩნდა. ის ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა ლანის და ხელჩაკიდებული შეიყვანა ოთახში.

— გაყიდე გაზეთები?.. ტკბილად შეეკითხა და მხარზე ხელი დაარტყა.

ლანიმ ამ ოთახში სანატრელი სიტბო იგრძნო. არცერთი ფანჯარა გატეხილი არ იყო და არსაიდან ქარი არ შემოდოდა.

— ძალიან ჩქარა გაყიდე. ქარხნის მუშებმა დაიტაცეს.

ამ სიტყვების გავონებაზე მასპინძელს გაელიმა. მაშინვე მოაგონდა ის სიტყვები, რომლითაც შვილი არაღა მან.

— აბა, ახლა ის მითხარი, იცი თუ არა, რასა ყვიროდი?!

ლანიმ თავი გააქნია. მან თითქმის სირცხვილი იგრძნო უცოდინარობის გამო.

— მაშ ყური დამიგდე და მე ავიხსნე, თუ რა არის საბჭოთა ქვეყანა და რა საზეიმო დღეებია ახლა იქ. ამ სიტყვებზე ფაუნმა ლანი გვერდით მოისვა და უამბო ყველაფერი, რაც კი იცოდა ამ ქვეყნის შესახებ: როგორ ცხოვრობენ მუშები, როგორ ზრდიან უპატრონო ბავშვებს, როგორ დახმარებას უწევენ იქაური პიონერები ისეთ ღარიბებსა და ობლებს, როგორიც თვითონ ლანია. აუხსნა, რომ ჩინეთის ქვეყანაში მდიდრები სჩაგრავენ მშრომლებს, იქ კი მუშები მუშაობენ მხოლოდ 7 საათს და მთელს სახელმწიფოს თვითონვე განაგებენ.

ლანი გაკვირვებული უსმენდა. მის ყოველ სიტყვას ინერგავდა გულში, ხარბად სწვდებოდა მისთვის უცნობ აზრებს.

მერე ფაუნმა მაგიდის უჯრიდან გრძელი წითელი ნაჭერი ამოიღო, მისცა ლანის და უთხრა:

— ამას ხომ ხედავ, რუსეთის პიონერები ატარებენ ყელზე. ისინი ჩვენი და ყველა მათი მეგობრებია, ვისაც ქარხნებთან გაზეთები მიჰყიდე. ეს შენი იყოს, ატარე მუდამ თან. და სადამოლობით კი შემოიარე ხოლმე ჩვენთან. აქ ბევრი ბავში იყრის თავს. შენც ბევრ რამეს ისწავლი მათგან.

ლანის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მის გაცრეცილს, მაგრამ უკვე გამთბარ სახეს წითელი ყელსახვევი ამშვენებდა.

მცირე ხანს კიდევ ისაუბრეს და შემდეგ კი დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ლანი შინისაკენ გაეშურა.

ის ხედავდა გზაში უზარმაზარ მშვენიერ სახლებს, ლამაზად მქროლავ ავტომობილებს, იორლა ცხენებით შეკაზმულ ეტლებს, მაგრამ ახლა ის აღარ ფიქრობდა მათ სიმშვენიერებზე, მას უკვე თვალ-



საქართველოს სახელმწიფო ტვილისი საქართველოს ბავშვთა

—ამას არ ვიცნობ? ეს ალბათ ახალია, არა, ფაუნ?—შეეკითხა მამა ფაუნს და ხელი დაადგა მხარზე ლანს.

წინ ედგა ის ხალხი, რომელიც ამ მდიდრულ სახლებში ცხოვრობდა, რომელიც მიჰქროდა ძვირფას ავტომობილებში და თბილად ჩაცმულებს არ აწუხებდათ არც შემოდგომის ქარის ქროლვა, არც ყინვიანი ზამთრის სიცივე.

ეს იყო ოქტომბერში და ყველგან ელოდნენ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავს. ყოველი ქვეყნის მუშები ემზადებოდნენ რუსეთში გასამგზავრებლად. ტოკიოს მუშებმაც აირჩიეს დღე-გატეები და რამდენიმე კვირის შემდეგ უნდა დაძრულიყო გემი შორეული ქვეყნის ნაპირებიდან.

ლანი, ჩვეულებრივად, დილიდან სადამომდე გაზეთებს დაარბენინებდა, სადამოთი კი მიდიოდა ფაუნთან, სადაც იკრიბებოდნენ იაპონელი პიონერები.

— ნეტავი, ერთი პიონერის გაგზავნა მაინც მოხერხდებოდეს,—გაიძახოდნენ ისინი თავის კრებებზე, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ მოეხერხებინათ. ამის არც ნებას აძლევდნენ მათ და არც საჭირო ფული ჰქონდათ.

ამ ამხანაგებში ყველაზე უფრო ღარიბი ლანი იყო. სხვებს დაუხვევლი ტანისამოსი ეცვათ, ბევრი მათგანი სკოლაშიც სწავლობდა, მაგრამ ლანი ყველა ამას მოკლებული იყო. ისე კი ძალიან ხალისიანად დაიწყო მათში მუშაობა. რამდენჯერმე ქარ-

ხანაშიც გაგზავნეს, სრულიად უცნობ მუშებთან, ეხმარებოდა მათ, მაგრამ ეს არ ყოფილა ძნელი საქმე: ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაჰქონდა დაბეჭდილი ქაღალდები და წიგნები, თვითონაც კითხულობდა მას და ეხსენებოდა გონება.

ერთ საღამოს, როდესაც ფაუნთან თავშეყრილი ბავშვები საუბრობდნენ, მათთან შემოვიდა ფაუნის მამა. ბავშვები უფროსის დანახვაზე ფეხზე წამოდგნენ; ლანიმ ასეთი წესი არ იცოდა, მაგრამ სხვებს მიჰბაძა და ისიც ჯარისკაცივით ტანში გასწორდა.

ფაუნის მამამ ყველას თვალი გადაავლო და ლანიზე შეჩერდა.

— ამას არ ვიცნობ!.. ეს ალბად ახალია, არა, ფაუნ?.. შეეკითხა შვილს და როცა ფაუნმა თანხმობის ნიშნად თავი დაბლა დახარა, მიუახლოვდა ლანის და აწეწილ თმებზე ხელი გადაუსვა.

— აჰა!.. წარმოსთქვა თავის ქნევით. შემდეგ გრძლად ჩამოშვებულ ულვაშებზე ორივე ხელი მოიკიდა, იწყო ულვაშების გრება და ისე უთხრა:

— ხვალ დილაზე ერთ გემზე წაგიყვან და სამუშაოს მოგცემ. თუმცა დროებით იქნები, მაგრამ არა უშავს რა, მერე კიდევ სხვაგან გიშოვი.

ლანიმ სიხარულისაგან პასუხი ვერ გასცა. დიდი ხანია ნატრობდა ამას და ახლა სურვილი უსრულდებოდა. მან იმ წამსვე წარმოიდგინა თავისი თავი მეზღვაურად, განიერთოტებიანი შარვლით, ოკეანეების სიღრმეში შეცურებული. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ოცნება იყო.

— განაგრძეთ, განაგრძეთ... შენ კი დილაზე შემოიარე, — წარმოსთქვა ფაუნის მამამ და გავიდა მეორე ოთახში.

საუბარი კვლავ განაგრძეს, მაგრამ ლანის გონებაში აღარაფერი არ შესდიოდა. მისი ფიქრები



პიონერები საუბრობენ.

— მშობლები გყავს?..

— მამა არა მყავს.

— სწავლობ?..

— არა.

— ხომ არსად მუშაობ?..

— მე ვყიდი გაზეთებს და ვინახავ დედას და პატარა დებს, — მიუგო ლანიმ და მეტისმეტი სიფრთხილით ახედა დიდ მაღალ კაცს.

გემისკენ მიჰქროდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ლანი მიბოძდა შინისკენ, სადაც ჩვეულებრივად ნაღვლიანი სახით, გამხდარი და გაყვითლებული დაუხვდა დედა.

ლანიმ სიხარული შეიტანა ოჯახში. ღამე თითქმის უძილოდ გაატარა. ფიქრობდა გემზე და თავის ახალ სამუშაოზე.

— ადექი, ლანი!.. ჯერ სიბნელის ბურუსი

არც კი გამდნარიყო და დედამისმა ტკბილი ხმით გადასძახა.

— გათენდა?.. წამოიძახა შემკრთალმა ლანიმ, თითქოს გაიკვირვა კიდევ ასეთ დროს ძილი.

— გათენდა. აგერ მთვარე გაიცრიცა და ქუჩაში ელექტრონებიც უკვე ჩაქრა.

ლანის მტკიცება არა სჭირდებოდა. ჩაიცვა. დაიბანა ხელ-პირი და გავარდა გარეთ. კი არ მიდიოდა, მირბოდა. არაფერს არ ხედავდა გზაში. თვალწინ ედგა მხოლოდ გემი და ფაუნის სახლი, სადაც მიდიოდა.

მიიღრინა კიდევ. ააწკრიალა ხარი. ლოდინი დიდხანს არ დასჭირებია. კარი გაიღო და გამოჩნდა ფაუნის მამა, სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი.

— ყოჩაღ.. ადრე ადგომა გცოდნია, — ტკბილი ხმით მიმართა ლანის და თავისი პატარა ამხანაგი გვერდში გაიყოლა.

ვიდრე ქალაქის ნაპირას გავიდოდნენ, ბევრი იარეს. ეს სიშორე მეტადრე ლანიმ იგრძნო. ის მიჰყვებოდა ორჯერ მასზე მაღალ კაცს, რომლის თითოეული ნაბიჯიც მის სამ ნაბიჯს უდრიდა.

ზღვის ნაპირა ქუჩიდან გამოჩნდა მაღალი იალქნები, გემის წვეროები და უზარმაზარი მიღები.

— აი, ამ გემზე უნდა ავიდეთ, — წარმოსთქვა ფაუნის მამამ.

— უჰ, რა დიდი!.. ხმამაღლა კი არ უთქვამს, მხოლოდ გულში ჩაილაპარაკა ლანიმ და თვალები მიაპყრო.

ხიდა და ნაპირს შორის გადავდებული ბოგირი ხალისით გადირბინა ლანიმ და შედგა უზარმაზარ გემზე. სწორედ ეს გემი მიემგზავრებოდა რუსეთისაკენ. ამას უნდა წაეყვანა დელეგატები. ზოგიერთი ნაწილები დაზიანებული ჰქონდა და ორმოცამდე მუშა და მეზღვაური აკეთებდა მას.

ფაუნის მამას ებარენ მუშები. ის ხელმძღვანელობდა მათ, ანაწილებდა სამუშაოს, თვალყურს კი ადევნებდნენ კაპიტანი და გემის უფროსი მსახურები, რომელნიც ძლიერ სასტიკად ექცეოდნენ მომუშავეებს.

— სამუშაოზე ვიყვან ამ ბიჭს, — უთხრა ფაუნის მამამ გემზე მდგომ ბოცმანს. ყოჩაღი ბიჭია, გამოგადგება, — დაუმთა მანვე და მხარზე ხელი დაარტყა ლანის.

— რაში ეტყობა სიყოჩაღე? — ტუჩების ბრეციით წაილულულა ბოცმანმა, მერე თავიდან ფეხებამდე ახედ-ჩახედა და პირიდან ჩიბუხის კვამლი გამოუშვა.

— ო, რას ამბობთ. ამას სულ მოკლე ხანში დაეინახავთ, — შეუბრუნა პასუხი და ოდნავ ჩაიცილა.

— კარგი, ავიყვანოთ. რა გქვიან, ბიჭო, — წაელაპარაკა ბოცმანი.

— ლანი...

— ხოო. აბა მოდი ჩემთან, მე შენ სამუშაოს მოგცემ, — დაბალი ხმით უთხრა მან, შემობრუნდა და გემის შუაგულიდან კიბეებზე ჩაეშვა.

დიდის სიფრთხილით ჩაჰყვა მას ლანი. მიუჩვეველი იყო ასეთ კიბეებზე მოძრაობას. მათ გადაიარეს ვიწრო ფიცარი, ბოგირივით გაკეთებული, რომელიც ბაქანთან აერთებდა სამანქანო განყოფილებაში ჩასასვლელ კიბეს. ამ ბოგირის მარჯვნივ, გემის ფსკერამდე მოჩანდა ერთი მეტრის სიგანის პირგადახსნილი მილი; გემის დატვირთვის დროს ქვანახშირს ყრიდნენ მასში.

ბოგირზე გადასვლისას ლანიმ შიგ ჩახედა და უნებურად აუთრთოლდა გული. ის იყო ძლიერ ღრმა და მასში მტკრის შავი ბუდი იდგა. შიგ ჩასვლა შეიძლებოდა მხოლოდ რკინის საფეხურებით, რომელიც მიმაგრებული იყო რკინის წვრილ ბოძზე.

— შენ აი ამ ხვრელიდან ქვანახშირი უნდა ამოზიდო, — მკვანედ უთხრა ბოცმანმა და შემდეგ ჩაიყვანა ერთ ოთახში, სადაც სამუშაოდ ემზადებოდნენ მუშები.

— რატომ არ იწყებთ, უკვე დრო არის. აბა, შეუდექით, — გადასძახა მკაცრად და თვალები გადაავლო ყველას, თითქოს სურდა ენახა, ვინმე ურჩობას ხომ არ გამოიხატავდა.

— ეს ბიჭიც თქვენთან ამუშავეთ, — დააყოლა უფრო დაბალი კილოთი და კიბეებისაკენ გაემართა.

წამოიშალენ გულის წყრომითა და ბრაზით. დაიწყეს ერთმანეთში უკმაყოფილო ბუტბუტი, მაგრამ გარკვევით ვერაფერს ამბობდნენ.

— აბა, ბიჭებო, ჩაეშვით შიგ, — წამოიძახა ერთმა, როდესაც ბაქანზე ავიდნენ და ქვანახშირის ხვრელს მიადგნენ.

— ეს ბიჭი ზევით დავტოვოთ, თორემ დაიხრჩობა იმ მტვერში, — წაილაპარაკა მოხუცმა მუშამ და თვითონ პირველი ჩაეშვა შიგ.

ათამდე კაცი ზევით დარჩა. ისინი ელოდნენ, რომ ფსკერში ფხვნილით ავსებული ყუთი ამოეწიათ ზევით და გადაეყარათ ზღვაში. გემის ძირს ქვანახშირის დარჩენილი ნაფხვენებიდან ასუფთავებდნენ.

ქვევიდან ამოვარდა ხმა და ჩარბთან მდგომებ-  
მაც დაატრიალეს სახელური. ეწეოდნენ ზევით ყუთს.  
ამავე დროს მთელ გემზე გაისმა მუშაობის ხმები,  
ნაჯახების ცემა, ჩაქუჩების დარტყმა, თოკების  
ტყლაშუნი და ჯაჭვების ჩხრიალი. ლანის ძლიერ  
მოეწონა აქ მუშაობა, მაგრამ მას გულს უშფოთებ-  
და ის შავი ხვრელი, უფსკრულივით რომ იცქირე-  
ბოდა ქვევიდან. მასთან მიახლოვების დროს ყო-  
ველთვის გრძნობდა შიშსა და კანკალს.

თენდებოდა თუ არა დილა, ლანი მაშინვე  
გემზე ჩნდებოდა, ზღვა კი ამ დროს იყო წყნარი,  
გალურჯებული და მთრთოლვარე. ნაპირებზე ჩამო-  
მწკრივებული გემების ნათურები ბჟუტავდნენ მზის  
სინათლე შემოსწრებულნი, და ნელ-ნელ ქრებო-  
დნენ, ისპობოდნენ. გემი აუშვებდა ხოლმე საყვირს  
და საყვირის ხმაც ვრცელდებოდა ქალაქსა და უსაზ-  
ღვრო სივრცეზე.

დამკლავებულნი, საყილოგადახსნილნი, საღ  
ლონით და გონებით ეძლეოდნენ მუშები შრომას  
და მთელი დღის განმავლობაში ემუშებოდნენ სახე,  
ჩამოსდიოდათ მკერდზე ოფლი.

— მარჯვე, მარჯვედ... გაიძახოდა ხოლმე  
ლანისთან მომუშავე და ერთდროულად ატრიალებ-  
დნენ სახელურებს, ამოძრავებულ ჯაჭვს კი გაჰქონ-  
და წკრიალი, თანაც ზემოთ ეწეოდა მასზე დაკიდულ  
ყუთს.



იტვირთებოდა გემი. იქვე იყო ლანი.

მთელი დღეობით ასე მუშაობდა ლანი. და-  
ლიან იღლებოდა, მაგრამ მაინც არა დრკებოდა,  
სჭიმავდა მოთმინებას და გემს კი თავს არ ანე-  
ბებდა.

გემის კაპიტანი მეტად სასტიკი და მკაცრი კა-  
ცი იყო. ის მეზღვაურებს და მსახურებს ისე აწვა-

ლებდა, ისე სტანჯავდა და ავიწროებდა, რომ ყვე-  
ლა გადამტერებული ჰყავდა.

ის დღეში რამდენჯერმე ჩამოუვლიდა ხოლმე  
მეზღვაურებს და მუშებს, ათვლიერებდა მათ გულ-  
მოდგინეობას, მუყაითობას და თუ ამას რომელი-  
მეს ვერ შეამჩნევდა, აპატიმრებდა რამდენიმე დღით.  
სახედაქმუქნული და დაბლვერილი ზიზლით გადა-  
ხედავდა ხოლმე მუშაობის დროს წელში მოხრილთ  
და საძაგელი სიტყვებით უმასპინძლდებოდა.

თუმცა ლანი გულმოდგინედ მუშაობდა, მაგ-  
რამ მაინც ვერასგზით ვერ მოაწონა მას თავი. სულ  
უბღვეროდა, მუჯლუგუნს სცემდა ხოლმე. ერთ  
დღეს ლანი ძლიერ მოიქანცა და შესასვენებლად  
იქვე კიბეზე ჩამოჯდა. ამ დროს კაპიტანმა გამოი-  
არა. დაინახა ლანი უსაქმურად და თვალეები ისე აუ-  
წითლდა, თითქოს გადმოვარდნას აპირებდა.

— პიონერებში გარყვნილხარ და მუშაობის-  
თვის წელი გწყდება... მკაცრად გადასძახა და მიუ-  
ახლოვდა.

ლანი მაშინვე წამოხტა. პატარა გულში და-  
გროვილი ბოღმა გულშივე ჩაიკლა და მივარდა  
ჩარხის სახელურს, მაგრამ ამ დროს კაპიტანი ყელში  
სწვდა, ყელსახვევი ჩამოაგლიჯა, დაქმუქნა და გე-  
მიდან გადააგდო. ლანის თვალეები ჯერ სიბრაზით  
და მერე ცრემლებით ავესო, მაგრამ წინააღმდეგ  
ხმის ამოდება ვერ გაბედა.

ამ დღიდან ლანის შესჯავრდა კაპიტანი. დღე  
არ გავიდოდა, რომ რამე შენიშვნა არ მიეღო.

— რა უნდა ჩემგან, რას ვლწავებ?!— ფიქრობ-  
და ლანი და ვერ კი მიმხვდარიყო, რომ ამისი მი-  
ზეზი წითელი ყელსახვევი იყო.

მას ტკბილად მხოლოდ ისინი ეპყრობოდნენ,  
ვინც მთელი დღეობით ზურგმოხრილი იყო და  
ოფლში იწურებოდა.

— ეგ ჩვენი მტერია, ჩვენი სიცოცხლის გამ-  
წვალელები, — ეუბნებოდნენ ხოლმე ლანის უფროსი  
ამხანაგები.

რამდენჯერმე ყურიც მოჰკრა მუშების საუბარს.  
ისინი ამბობდნენ:

- უნდა მოვიცილოთ თავიდან!...
- სისხლი გაგვიშრო, მოთმინება აღარ არის!
- ზღვაზე რომ გავალთ, ავჯანყდეთ, ან გემი-  
დან გადავავდეთ!...

ამ ლაპარაკიდან ლანი ხედავდა, თუ როგორ  
ეჯავრებოდა ყველას კაპიტანი, როგორ სურდათ  
მისი თავიდან მოცილება. ყელსახვევის შემოგლე-  
ჯის შემდეგ მასაც შესჯავრდა. ფაუნმა აუხსნა კი-



დევ, თუ რატომ ეჯავრებათ პიონერები მდიდრებს, და კაპიტანიც ხომ მდიდარი იყო?!

დაინახავდა თუ არა ლანი კაპიტანს, სულში შურისძიების სურვილი ეღვიძებოდა და სურდა რამით გადაეხადა სამაგიერო.

ერთ საღამოს, როდესაც გემის შეკეთებას უკვე ამთავრებდნენ, კაპიტანმა ჩაუარა ყველას. ლანისთან გავლისას მას, გზაში ჩამომდგარს, მუჯღლეუნი წაჰკრა და მიაძახა:

— გაათავე... დაადე სახურავი ხვრელს და მომეცი გზა.

ლანიმ სიტყვამოუღებელივ შეასრულა მის ბრძანება. ამავე დროს საყვირის ხმაც გაისმა. შესი წყდა მუშაობა და დაიწყეს გემის მიტოვება.

კაპიტანი სამანქანო განყოფილებაში ჩავიდა. დიდხანს ესაუბრებოდა მესაქეს.

ლანი კი გარინდებული იდგა და ფიქრობდა:

— რა უნდა ჩემგან, რას ვუშავებ?! ფიქრობდა და ფიქრებში მიხვდა, თუ რასაც უშავებდა. ის იზრდებოდა სულ სხვა ადამიანი, სხვა გულის, სხვა აზრების, სხვა სურვილების; მიხვდა, რომ კაპიტანი მშრომელი ხალხის მტერი იყო.

— აბა მაშ კარგი!.. წაილაპარაკა მუქარით და მუშტები დაკუმშა.

უცბად რაღაც აზრმა გაუბრინა გონებაში და ხვრელს სახურავი მოხადა, შავი საშინელი პირი დააღებინა. უცბად შემოტრიალდა და ნაპირისაკენ გაიქცა.

ბინდებოდა. შავ ზეწარივით იშლებოდა სიბნელე და ჰფარავდა გარემოს. ცაზე კი ღრუბლები აბნელებდნენ მთვარეს და ვარსკვლავებს.

გემი დაცალიერდა. მუშები ზღაზვნით და დაღლილი მოძრაობით სტოვებდნენ მას, იკრიბებოდნენ გემის წინ, საუბრობდნენ. ლანიც მათში იყო. მას ესმოდა თავის გარშემო რაღაც ხმაურობა, ყაყანი, მაგრამ არცერთი სიტყვა არ გაუგონია. მისი გონება მხოლოდ ერთი ფიქრით იყო შებოჭილი.

— ქვანახშირის ხვრელში ჩაიჩეხება და მაშინაც მაწვალოს!...

— თქვენ, ეი, რას ყაყანებთ. წადით ადგილებისკენ, — სრულიად მოულოდნელად გაისმა კაპიტანის ხმა და ორი ბრიალა თვალი შეანათა მეზღვაურების ჯგუფში.

ორიოდე წუთის შემდეგ შემოტრიალდა და გაემართა საკუთარი კაიუტისაკენ, მაგრამ ხუთიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ შეჩერდა, ამაყად თავი ასწია და ხმამაღლა დაიძახა:

— რიჭრაჭისათვის ყველანი ფეხზე უნდა იყოთ. ხვალ დილით გავემგზავრებით რუსეთისაკენ. გესმით?.

— გვესმის!.. ერთხმად გაისმა მეზღვაურთა პასუხი.

ლანის გულში სიხარულის ზღვა ამოძრავდა. რამდენი ხანია ელოდა ამ სანატრელ დილას და ეს დილაც ხვალ უნდა გასთენებოდა.

იმ საღამოსვე ინახულა ფაუნის. უთხრა, რომ კაპიტანმა გემზე დასტოვა სამუშაოდ და რომ დელეგაციასთან ერთად ისიც გავემგზავრება რუსეთში.

იმ ღამესვე შეიკრიბნენ იაპონელი პიონერები. გამართეს კრება და დაადგინეს, რომ ლანი გაეგზავნათ, როგორც დელეგატი, რომ გასცნობოდა საბჭოთა კავშირის პიონერების ცხოვრებას და მუშაობას, მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას. მისცეს მრავალი დარიგება, დავალება და ისე გაისტუმრეს შინ.

გემი მეორე დილით კი უხარმაზარი ღუზიდან მოხსნეს, გემი შესცურდა ზღვის სიღრმეში და შორეული ქვეყნისაკენ გაემართა.

მისცურავდა გემი ოკეანეს ლურჯ მღელვარე ტალღებზე და თან მიაქროლებდა პატარა იაპონელ დელეგატს.

ე. პოლუმორდვინოვი.

# მსკვარი



# სულსული

### საიდან ვიღებთ ჩვენ ელექტრობას?

— ცხადია, ელექტროსადგურიდან: ელექტრონს იქ ამზადებენ.

— აი ეს კი სწორედ საკვირველი საქმეა!

— წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ეს-ეს არის ცივი წყლიდან ამოხველით. რა მოგინდებათ თქვენ ყველაზე ადრე?

— რასაკვირველია, გათბობა.

— საიდან უნდა მივიღოთ მერე ეს სითბო? გინდათ, მივიღებ მე ამ სითბოს; მაგრა დაგსრესთ პირსახოციით, ისე რომ ტანი აგიწითლდესთ და ნახავთ, რომ თქვენ გათბებით. როცა თქვენ ყინვაში ხელებს ისრესთ, თქვენ მაშინ მუშაობთ, ესე იგი სითბოს ამზადებთ, რომ ხელები გამოთბესო. რა მანქანებით ხდება ეს, ან საიდან გამოდის ეს სითბო?

— აქ მხოლოდ მუშაობაა საჭირო და სითბოც მზად იქნება.

აბა წადით ელექტრონის სადგურზე და ნახეთ: ყველგან მანქანები დგას და ისე სწრაფად რიალობენ, რომ გუგუნის და დგანდგარი გააქვთ. რატომ ბრუნავენ ისინი—ფქვავენ, თუ აკეთებენ რამეს? აბა გახსენით მანქანა და შეიხედეთ შიგ— არაფერი შიგ არ არის, არავითარი მასალა, ყველაფერი ისეა, როგორც ცარიელ წისქვილში. აქ მხოლოდ მუშაობაა, მოძრაობაა საჭირო, მასალა კი არავითარი. აი, სითბოს მისაღებად საჭირო არის, რომ ე-თი საგნით მეორე საგანი ხეხო, ელექტროს მისაღებად კი საჭირო არის, რომ მაგნიტი მავ-

თულის მახლობლად ამოძრაო. და რამდენადაც უფრო ჩქარა ამოძრავენ მაგნიტს, იმდენად მეტი ელექტრობა დაგროვდება მავთულზე. მანქანებიც ასე არის მოწყობილი: რგოლზე დახვეული არის მავთული, რგოლს შიგნით კი მაგნიტის ჯვარი ბრუნავს. მაგნიტები ჯარასავით ბრუნავენ მავთულხლართის მახლობლად და შიგ ელექტრო გროვდება. მხოლოდ ერთი გახსოვდეს—ატრიალე მაგნიტი, მეტი არაფერი არ არის საჭირო. ეს ყველაფერი დიდებულია, ყველაფერი მუქთი და უხარჯო. უბედურება მხოლოდ ერთ რამეშია: მაგნიტს მეტად სწრაფი ტრიალი უნდა, ეს ადამიანის ხელით მოუხერხებელია და ამიტომ ან ორთქლმანქანა არის საჭირო, ანდა ძრავი. მანქანას კი სათბობი მასალა უნდა: ნახშირი, ნავთი, შეშა. ეს უკვე ხარჯია. აქ ყოჩაღად უნდა იყო, ხელმომჭირნედ, თორემ ელექტრო მეტად ძვირად დაგვიჯდება. და, აი, ხალხი ჩაფიქრდა! როგორ მოვახერხოთ, რომ მუქთად იბრუნოს ამ მაგნიტმა? მაშინ ხომ სულ მთლად გავკეთდით: მასალა არ დაგვეხარჯება და მანქანის ბრუნვაც მუქთი იქნება. და აი აქ ხალხმა იფიქრა, რომ წყლის წისქვილი გამოეყენებინა: ხომ ბრუნავს წისქვილი ჩინებულად, არც ნახშირი უნდა, არც ნავთი და არც შეშა. ეცემა წყალი კაშხალიდან, თვლებს ხვდება, თვალი ბრუნავს და წისქვილიც მუშაობს.

მერე ხალხმა იფიქრა, რომ წისქვილი ვერ მუშაობს, როგორც საჭიროა: აუარებელი წყალი იღ-





ვრება გამოუყენებლად და გაცილებით უკეთესი იქნება, თუ მთელ წყალს მილში გავუშვებთ და წყალს უქმად არ დავდვრით. ამიტომ ამჯობინებს, რომ წყლის დაცემა მილის საშუალებით მოხდეს. მილს შიგნით კი ტრიალა მოათავსეს, აი ისეთი-როგორც ვენტილიატორებია ჩვენი ოთახის ფან, ჯრებში. ქარი უბერავს და ვენტილიატორიც ბრუნავს. აქ ქარი კი არა, წყალი დაჰბერავს.

კეთილი და პატიოსანი, ახლა, თითქოს, ყველაფერი მზადა გვაქვს. მდინარე შევგუბებთ—გადავლობთ უზარმაზარი ღობით, ე. ი. კაშხალით, და ასე წყალმა კაშხალს მოაღწია, აქ ის უკვე დაგუბულია და გზა არსადა აქვს. მდინარებას კი მოაქვს და მოაქვს წყალი, ისე, როგორც ხალხი, რომელსაც გზა შეუკრეს, ხალხი კი თანდათან აწყდება. მერე გზა ვიწროდ გაუხსენით და ნახავთ, როგორ შიგ მიაწვება ხალხი. ასეა წყალიც. მიაწვება მილს და გაექანება, მილში კი ბრუნაროა (ტურბინა). წყალი ვერაფრით ვერ აუვლის მას გვერდს, ძალაუნებურად უნდა ატრიალოს იგი, თუ უნდა მილში გავიდეს, სხვაგან კი გზა არა აქვს.

ბრუნავს ბრუნარო და მასთან ერთად ბრუნავს მანქანებიც ელექტროსადგურზე და მანქანებში ელექტრო ჩნდება.

ყოველივე ეს 15 ვერსის მანძილზე ხდება ტფილისიდან, ელექტრო კი ძლიერ ესაჭიროება ტფილისსა და სურამის საუღელტეხილო ელექტრონის რკინის გზას, რომელსაც სულ მალე გაიყვანენ.

თუ მავთულზე ელექტროს გავუშვებთ და თუ ეს ელექტრო მეტად დიდი ძალისაა (როგორც, მაგალითად, ტრამვაის ქსელი, ქუჩებში რომ არის გაკიდებული რკინის ბოხებზე), ასეთ მავთულზე ხელის მოკიდებაც კი არ შეიძლება—ხელს დაგწვავს. ასეთი მავთული თუ მიწაზე დაეცა—ჩინჩხლებს გაჰყრის.

— ეს ყველა-ყველა, მაგრამ ერთადერთი რამ არის საკითხავი: როგორ მიდის მავთულზე ელექტრონი? სასწაული ხომ არ არის ეს?

— აი კიდევ მეორე სასწაული. ვთქვათ, კედელში რკინა არის გამოყრილი. თუ ამ რკინას წკირას მივადებთ, ცეცხლი გაუჩნდება. გამოდის, რომ ამ რკინაშიც რაღაც სასწაულს უნდა ჰქონდეს ადგილი სასწაული! თუ მე თქვენ გაჩვენებთ, რომ ამ რკინას კედლის იქით ცეცხლით ახურებენ და წითლად არის გავარვარებული, მაშინ ნახავთ, რომ აქ არავითარი სასწაული არ არის.

— ე!...—მეტყვი თქვენ,—ეს რა სასწაულია? ეს ყველა სულელმა და გამოჩერჩეტებულმა იცის.

ეს იმიტომ არ გვაკვირვებს, რომ ყველა მიეჩნია იმას, რომ სიუბო კარგად გადის რკინაში და საზოგადოდ ყოველგვარ ლითონში. რაც შეეხება იმას, რომ ელექტრობა კარგად გადის ლითონში, ამას კი ჯერ ვერა ვართ შეჩვეული. როცა ხალხი ისე მიეჩვევა ელექტრონს, როგორც ცეცხლს, არავისთვის ეს საკვირველი არ იქნება, ისევე, როგორც ათეშქაში, რომლითაც ცეცხლს ვურევთ და ხელში მისი ტარისაგან სითბოს გვრძნობთ.

**ზემო-ავხალა აირჩივს.**

მაშ ასე, აი ესეც ჩვენი სასწაული; როცა მივეჩვევით, ის უკვე აღარ იქნება სასწაული. აი კიდევ ერთი რამ: რაც უფრო მსხვილია მავთული, მით უფრო თავისუფლად მიექანება ზედ ელექტრობა. სითბო ძნელად და გვიან ტარდება ლითონში, ელექტრობა კი სწრაფად, თითქმის თვალის დახამხამებაში: ერთ წამში ათჯერ შემოუბრუნეს დედამიწას ირგვლივ.

გამოდის, რომ დაბრკოლება მხოლოდ მავთულში მდგომარეობს: თუ ჩვენ მსხვილ მავთულს გავჭიმავთ ელექტროსადგურიდან ტფილისამდე, მეტი აღარაფერია საჭირო.

ასეც გადასწყვიტეს: გასჭიმონ მსხვილი მავთულები დიდ სვეტებზე სადგურიდან ტფილისამდე, მერე იმუშაოს წყალმა, აბრუნოს ელექტრო-მანქანები, და ტფილისში ელექტრო გვექნება.

ახლა საჭირო იყო ისეთი მდინარის მოწახვა, რომელსაც სწრაფი მდინარება ექნებოდა, წყალი უხვად იქნებოდა; ის ტფილისთან რაც შეიძლება ახლოს უნდა ყოფილიყო.

ასეთი მდინარე აღმოჩნდა მტკვარი.

მაშინ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ დაავალა ინჟინრებს შეედგინათ ელექტროსადგურის ისეთი გეგმა, რომელიც ყველაზე უფრო იაფი დაჯდება და ეს სადგური ტფილისთანაც ახლო იქნებოდა. ამ საქმეს ხელმძღვანელად მიუჩინეს ინჟინერი ბესო კიჭინაძე.

ეს მით უფრო საჭირო შეიქნა, რომ ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ ინგლისმა, რომ მუშათა სახელმწიფო არ აყვავებულებოდა, შესწყვიტა ნახშირის შემოტანა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში. ტფილისში კი რკინიგზის სახელოსნო, ტრამვაი და სხვადასხვა ქარხნები და თვით რკინისგზაც ნახშირით მუშაობდა.

რა უნდა ექნათ მაშინ ამ ქარხნებს? მართალია, რუსეთს აქვს დონის ოლქში ეგრეთ-წოდებული "დონბასის" ქვანახშირი და საქართველო-

ში არის ტყვარჩელის, ოჩემჩირეს მახლობლად, მაგრამ „დონბასის“ ქვანახშირი ძვირი ჯდება და შორსაც იყო, ტყვარჩელის კი ჯერ სრულიად დაუმუშავებელია. საქართველოს კიდევ აქვს ქვანახშირის ერთი წყარო—ტყიბულის, მაგრამ ის მეტად ცოტა და ამასთანავე მდარე ხარისხისაა. განსაკუთრებით მძიმე იყო ეს იმ დროს, როცა 1921 წელს საქართველოში მუშათა მთავრობას უფრო დიდი საკითხები ჰქონდა გადასაწყვეტი.

უხერხებელი რამ არის და სიმხურვალეც ცოტა აქვს. ანდა განა დასაშვებია, რომ ავჭრათ მთელი ტყეები დასაწვავად, რომელიც მეტად ძვირფასია დასამუშავებლად და ცუდი ღირსების არის, როგორც საწვავი მასალა?

ტყეების აჭრის გამო მდინარეები კლებულობენ. ათასი საგნებისათვის, შენობებისთვის, ქალაქის წარმოებისათვის, ფანერისათვის და საოჯახო დგამისათვის კი ხე აუცილებელ საჭიროებას წარმო-



პიონერები მეცადინეობენ

არც შეიძლება, რომ მუდამ ქვანახშირზე იყოს კაცი დამოკიდებული. ის საუკუნეებით გროვდება მიწაში, მეტისმეტად ნელა და ხარჯვით კი მეტად ბევრი იხარჯება და ამით ნახშირის მარაგი თანდათან მცირდება დედამიწაში, საჭიროა მას გავუფრთხილდეთ.

ბევრ ქვეყანაში უკვე ეშინიათ „ნახშირის სიმბილოზის“.

ბაქოში არის თხიერი სათბობი მასალა ნავთი. მაგრამ ნავთს ახლა მეტად გამოზოგვილად ხარჯავენ და ძრავებისათვის ინახავენ.


შეშა მეტად ძვირფასი და მძიმე რამეა, ასე რომ ის მეტად ძვირად ჯდება და ძნელი გადასატან-გადმოსატანიც არის. მისი დამზადება, ქალაქში მოტანა, აქედან ქარხნებში მიწოდება სრულებით მო-

ადგენს. ბევრ ქვეყანაში ტყე არც კი არის და ამიტომ დაუშვებელი საქმეა მისი საწვავ მასალად გამოყენება.

ტორფის დამზადება კიდევ უფრო ძნელი საქმე არის და შეშაზე უარესადაც იწვის.

ინჟინერმა მელიქ-ფაშაევმა შეადგინა საუკეთესო და ყველაზე იაფი გეგმა სადგურის მტკვარზე დასადგმელად სოფელ ზემო-ავჯალაში.

როცა საქართველოს მუშათა მთავრობამ მელიქ-ფაშაევის გეგმა განიხილა, ის დარწმუნდა, რომ ეს გეგმა ყველაზე კარგი, მიზანშეწონილი და იაფი იყო. და, აი, 1922 წელს ტფილისის მოსახლეობამ მოაწყო კვირეული და ერთ დღეს მთელი ტფილისი დაიძრა ზემო-ავჯალაში. მთელი დღე მუშაობდნენ ისინი ბარებით, წერაქვებით, გაჰყავდათ ახა-



ლი არხი და ასე ჩაეყარა საძირკველი იმ დიდ ელექტრო-სადგურს, რომელსაც ასე ნატრობდნ ტფილისის მუშები და რომლითაც ახლა ამაცობენ. ასე განხორციელდა ის დიდი ანდერძი, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ ლენინმა და რომელიც არის უდიდესი იარაღი სოციალიზმის განხორციელებისათვის.

თუ ზემო-აფხალაში არის ეს სადგური, რატო ჰქვია მას ზაჰესი. აი საქმე რაშია: **ზაჰეს**—არის პირველი ასოები **ზემო აფხალის ჰიდრო ელექტრო სადგურისა**. ჰიდრო—ლათინურად წყალს ნიშნავს; აი საიდან წარმოდგა სახელწოდება **ზაჰესი**.

### კ ა შ ხ ა ლ შ ი

ბევრი რამ შეუძლია კაშხალს: წყალსაც შეაგუბებს და ტფილისს ელექტრონს მიაწოდებს. ამაშია სადგურის მთელი ძალა და აქედან დაიწყეთ.

გაზომეს ინჟინრებმა, იანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ სამსართულიანი კაშხალია ასაკები. მაგრამ კაშხალს აუარებელი მასალა სჭირდება. მთელი მთა შეიქნა საჭირო, რომ მდინარე შეეჩერებინათ. მაშასადამე, ერთი მთა მასალაც იყო ამისთვის საჭირო. და, აი, მოისაზრეს, რომ საუკეთესო მასალაა **ტინობი**.

### ტ ი ნ ო ბ ი

ტინობი მასალაა, რომლისაგანაც მთელი ზაჰესი არის აგებული. ტინობს ხრეშისა, ქვიშისა და ცემენტისაგან ამზადებენ.

ცემენტი—ეს ნაცრისფერი ფქვილია. თუ მას წყალში ავზელთ, ის მალე მაგრდება, როგორც პაერზე, ისე წყალშიც. თუ მის თხელ ცოშს დავამზადებთ და შიგ ხრეშსა და ქვიშას შევეურევთ, მაშინ ის ძვალისფერად გამაგრდება და ერთ მთლიან ქვად იქცევა. მთელი ძალა ცემენტში არის. ეს ის არის, ასე რომ ჰბოჭავს და ამტკიცებს ქვასა და ქვიშას. ცემენტი ერთმა ინგლისელმა მუშამ გამოიგონა ამ ასი წლის წინათ.

ცემენტის დასამზადებლად ცემენტის ქარხანაში იღებენ გამოუწვავ კირს (კიდევ უკეთესია, თუ ცარცს აიღებენ) და წმინდა თიხას, ერთსაც და მეორესაც ახმობენ განსაკუთრებულ ღუმელებში, მერე ღერღავენ საღერღავ მანქანებში, დაბოლოს ფქვავენ და მერე წყლით ერთიმეორეში ზეღენ. ამ

ნაზელს შემდეგ ისევ ახურებენ ღუმელებში და ისევ ფქვავენ ფიფქი ფქვილივით. ცემენტი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ წებოა ტინობისათვის.

ტინობის მთავარი ძალა ქვაში და ქვიშაში მდგომარეობს და, აი, ტინობისათვის აუარებელი ქვიშა და ხრეში შეიქნა საჭირო.

აიღეს და იქვე მტკვარში რიყის ქვა იყო, მტკვარზე ქვისმტეხელები დააყენეს და დაამტვრევინეს. ქვიშაც იყო და ახლოს დააგროვეს სუფთა ქვიშა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო. დამტვრეულ ქვას შემდეგ განსაკუთრებულ მანქანაში ჰყრიდნ და ხრეშს იქ იღებდნ.

მერე ეს ქვიშა და ხრეში აზიღეს ცემენტში და ფაფა დაამზადეს, ეს ფაფა რომ გაცივდება, ტინოვით იქცევა, აქედან წარმოიშვა სიტყვა ტინობიც.

მაგრამ აი უბედურება:

თუმცა ტინობი ძალიან მაგარი რამეა, მისი გატანა ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ ის ადვილად ტყდება.

რა უნდა ექნათ ხელოსნებსა და ოსტატებს?


და, აი, ტინობი რომ უფრო გამძლე ყოფილიყო, შენების დროს რკინის რიკულები დაუტანეს.

რკინას სწორედ ის თვისება აქვს, რაც ცემენტს აკლია: ის ძნელად ტყდება და ცემენტი და რკინა კი ერთად საუკეთესო მასალას წარმოადგენს ნაშენობათათვის, ამიტომ ჰქვიათ ასეთ მასალას **რკინა-ტინობი**.

ტინობი, ჩვენ უკვე ვიცით, ფაფაა. ამ ფაფით არაფრის შეღესვა არ შეიძლება, რადგანაც ის ისე თხელია, რომ იშლება. საჭიროა ტინობის ფაფის გაჩერება, შემოღობვა, რომ არ დაიშალოს. ამიტომ ტინობის ასაშენებელ ადგილას აშენებენ ხის კალაპოტს, კედლის ყალიბის მსგავსად და სანამ შიგ ტინობის ფაფას ჩაყრიდნ, შიგ რკინის გრძელ და მსხვილ მავთულებს აწყობენ. შიგ იმდენ რკინის ლატნებს ალაგებენ, რომ დაბოლოს ის უზარმაზარ ჩონჩხს ემსავსება. ამის შემდეგ მოაქვთ ტინობი და მანამ ჰყრიან შიგ და ტკეპნიან, სანამ პირამდე არ აივსება: როცა გაივსება, ის სულ მოკლე ხანში მაგრდება. ასე თანდათან აჰყავთ იგი ზემოთ და ნაშენობა იზრდება და იზრდება, სულ მალა და მალა ადის და გამძლე და მეტად სქელი გამოდის.

(შემდეგი იქნება).

ზ. დარჩია.



# პ ი ო ნ ე რ - გ უ ლ ი ო ნ ე ლ ე ბ ი.

ტფილისი... ამიერკავკასიის ქვეითი ჯარის სკოლა... ეს სწორედ ის სკოლაა, სადაც იძლევენ ჩვენ ახალგაზრდობას სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, სკოლაა, რომელიც იძლევა იმედებს, რომ ჩვენი წითელი არმია მაგრდება, თანდათან ივსება პოლიტიკურად და სამხედრო ცოდნით გაწვრთნილი მასით.

ამ სამხედრო სკოლასთან, სადაც ყოველ დღით ბეჯითად მეცადინეობს რამოდენიმე ათასი ახალგაზრდა კურსანტი, რომელთაც თავი მოუყრიათ აქ ამიერკავკასიის ყოველი კუთხიდან, 1923 წელს ჩამოყალიბდა პატარა პიონერული ჯგუფი, რომელიც შემდეგ თანდათან გაიზარდა და მიიკრიბა თავის რიგებში მრავალი ცოცხალი ბავშვი.

სკოლა ყოველწლიურად იზრდებოდა თანდათან და სივიწროვეს გრძობდა, იზრდებოდა პიონერკოლექტივიც და, აი, გადაწყვეტილ იქნა მათი ახალ შენობაში გადაყვანა, ასე რომ ეხლა ლენინის მე-XVII „ამხ. ბუდიონის სახელობის პიონერ-კოლექტივი“ იმყოფება 49 შრომის სკოლის სამ ოთახში. კვირაში ორჯერ—ოთხშაბათობით და კვირაობით—ეს ოთახები ივსება მხიარულებით და სიცოცხლით:— „მზად იყავ!“— „მზად ვარ!“.

კოლექტივში ახლა ირიცხება ოცდაათამდე პიონერი, ოცამდე პიონერი ქალი და ოცდახუთამდე ოქტომბრელი. ბავშვები უმეტესად სამხედრო სკოლის თანამშრომლების და კურსანტების შვილები არიან. ნაციონალური შემადგენლობა მათი ნამდვილად პიონერ-ინტერნაციონალურია: ეს პიონერები მკიდრად დამეგობრებიან ერთმანეთს, ცხოვრობენ ერთიანი ოჯახით.

განსაკუთრებული თავისებურობა ამ კოლექტივის იმაშია, რომ ის არმიულ, სამხედრო პირობებშია, სადაც მეტი ყურადღება ბუნებრივად მიეცეული აქვს პიონერების გასამხედროებას. წრეების მეთაურები და ხელმძღვანელები—კურსანტები არიან, რომლებიც სკოლაში თავისი მეცადინეობის შემდეგ ბეჯითად მეცადინეობენ პიონერებთან, თავის „პიონერ-ბუდიონელებთან“, რომ მათაც ცოდნა მისცენ.

— ყოველ კვირით ჩვენთან მოდიან სულ ახალი და ახალი ამხანაგები, გვახოვენ მივიღოთ კოლექტივში—ამაყად ამბობს კოლექტივის მეთაური.

ზღაპრული სიჩქარით იზრდება პიონერებს შორის მსროლელთა წრე; საქმე იქამდე მივიდა, რომ საჭირო შეიქნა მისი ორად გაყოფა. ერთ წრეში ახლა ირიცხება 18, მეორეში 16 პიონერი! წრეებში გულმოდგინედ ეცნობიან სამხედრო საქმეს, შინჯავენ ვინტოვკებს და სწავლობენ მიზანში სროლას.

მიზანში სროლა პიონერებისათვის ყველაზე სასიხარულო საქმეა, გულისფანცქალით აწყობენ ტყვიებს თოფებში და უმიზნებენ, რომ როგორმე მოახვედრონ მიზანში; სამხედრო სწავლის ეს შედეგები პიონერებს შორის უკვე გამოძლევენ და რაიონულ პიონერულ შეჯიბრებაში, სადაც ბუდიონის სახელობის კოლექტივმა მიიღო ჯილდო.

— ჩვენს პიონერებს პურს თუგინდ ნუ აქმევ, ოღონდ იყოს სასროლი! ზოგიერთებმა თითქმის საკუთრად შეიძინეს მონტეკრისტოები შინ სასროლად, ამბობს ერთი მსროლელი პიონერი.

გარდა სროლისა, პიონერები ეცნობიან აგრეთვე ტოპოგრაფიის, ტელეფონის და მორზეს ანბანის საქმეს, სწავლობენ სამხედრო ტაქტიკას. ახლა კოლექტივი ემზადება ყველაზე საუკეთესო სამხედრო წრის კონკურსისათვის. საქმის ცოცხალი წარმოებისათვის წინასწარი კონკურსი თვითონ კოლექტივის შიგნით ტარდება, ვინტოვკის საუკეთესოდ დაშლისათვის საჩუქრად დაწესებულია ბლოკნოტი, წიგნები, ჟურნალები, მაგრამ საქმე არც საჩუქარშია, იყოს ოღონდ სურვილი!

არ შეიძლება არ მიესაღმოთ კოლექტივის კომკავშირში გადასასვლელი მოსამზადებელი წრის მუშაობას. ამ წრეში ცოტა მოზრდილი პიონერები დებულობენ პოლიტიკურ განათლებას და ეცნობიან ა. ლ. კ. კავშირის წესდებას და პროგრამას.

ამავე დროს ზოგიერთი პიონერები მიმაგრებულნი არიან სამხედრო სკოლის უჯრედთანაც. უჯრედში ეძლევათ მათ მცირე დავალებებიც იმისთვის, რომ წინასწარ მოამზადონ ამით მომავალი კარგი კომკავშირელები. პოლიტცოდნის საქმის ასე დაყენება რამდენად მისაღები და სასარგებლოა, — ამას თვით ეს პრაქტიკა მეტყველებს.

კოლექტივში ჩამოყალიბებულია სანიტარული წრე, სადაც ჯერ მხოლოდ ათიოდე პიონერ-ქალია თავმოყრილი; ისინი მთლიანად შედიან სკოლის სანიტარულ წრეში, სადაც სამხედრო ექიმის ხელმძღვანელობით ეცნობიან სანიტარიის და ჰიგიენის საქმეს, სწავლობენ ჭრილობების შეხვევას და სხვას.

იშვიათი შემთხვევაა ტფილისის პიონერ-კოლექტივების ცხოვრებაში, რომ სადმე არსებობდეს პიონერების სიმებიანი ორკესტრის წრე; მიუხედავად ამისა, ასეთი წრე აქ უკვე დაარსებულია, თუმცა აქაც ეს ახალი საქმეა. თხუთმეტიოდე პიონერი ბეჯითად სწავლობს მუსიკის სხვადასხვა მოტივებს.

წრე უზრუნველყოფილია ინსტრუმენტებით თვით სამხედრო სკოლის მიერ, და პირველ გამო-

სვლას ეს ნორჩი მუსიკოსები აპირებენ სწორედ არმიის ათი წლის თავზე. ამ საზეიმო დღეს აფლერდებიან მანდალინები, გიტარები და ბალალაიკები. პიონერები აქ გამოიჩინენ თავის მუსიკალურ ნიჭს და უნარს.

ბავშვების ფიზიკური მომზადება, გარდა რეგულარიული ტანვარჯიშობისა, სწარმოებს აგრეთვე ფეხბურთის საშუალებით, სადაც ემზადებიან მომავალი მაჩტისათვის. ყოველი თამაშის შემდეგ ბავშვები ჯანსაღად და თავისუფლად გრძნობენ თავს.

ერთ-ერთი მასწავლებლის ხელმძღვანელობით მე-43 შრომის სკოლის მოწაფეებთან ერთად პიონერებმა დაარსეს დრამატიული წრე — „ლურჯი ხალათიანების“. სკოლის კლუბში არა ერთხელ გამართეს წარმოდგენები და ინსცენირობანი საკუთარი ძალებით და სახელიც კარგი დაიმსახურეს აქაც. წითელი არმიის სადღესასწაფლოდ კოლექტივი ამზადებს წარმოდგენას სამხედრო რეპერტუარიდან.

დიდი ქება დაიმსახურა პიონერების კედლის გაზეთმა — „ლენინურმა სხივმა“. გაზეთი პერიოდულად გამოდის და მუდამ სავსეა პიონერების მიერ დაწერილი შენიშვნებით და წერილებით. გაზეთის მუშაობაში ჩაბმულია თითქმის ყველა პიონერი, რედკოლეგიას უხდება მხოლოდ მასალების განაწი-

ლება და გამოშვება. გაზეთი ცდილობს გააშუქოს საჭირობოროტო საკითხები. არმიის ათი წლის თავზე გამოდის სპეციალური სამხედრო ნომერი.

სკოლაში არსებულ სახელოსნოებში პიონერები სწავლობენ ხელოსნობას — ხერხავენ, აშალაშინებენ, გააკეთეს სკამები თავისი კუთხეებისათვის. საჭიროა მეთაურმა მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის კოლექტივი ემზადება გაცხოველებული მუშაობით, გადიან წითელი არმიის ისტორიას. ამავე ხნისთვის მზადდება კონკურსი ვინტოგკის საუკეთესო მოდელზე, რომელსაც აკეთებენ საკუთარი ძალებით.

სამხედრო სკოლა ხალისით ეკიდება თავის პიონერ-კოლექტივს, ხელს უწყობს ყოველმხრივ წინებით, სამოსწავლო ნივთებით და სხვა. არმიის ათი წლის თავის დღესასწაულისათვის პიონერებს დაურიგდებათ სამხედრო ტანსაცმელი და გადაეცემათ დროშა და ბარაბანი, საუკეთესო მავალითი მჭიდრო კავშირისა წითელ არმიასა და პიონერებს შორის კი ესაა. ჩვენი პიონერები ამიერკავკასიის ქვეითი ჯარის სკოლის კურსანტების ხელმძღვანელობით ამაგრებენ კავშირს წითელ არმიასთან მისი ათი წლის თავზე.

ედ. ლინგ.



# დავანგაროთ რევოლუციისათვის ბავროლოთ.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მშრომელებ-  
მა უკვე 10 წელია, რაც დაამსხვრიეს ჯერ მეფის,  
შემდეგ ბურჟუაზიის და შემამულეების ხელისუფლე-  
ბა. ჩვენი კავშირის მუშათა კლასი განთავისუფ-  
ლებულია ყოველგვარი ბურჟუაზიული ჩაგვრისაგან  
და აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი გამუდმებით მძვინვა-  
რებს თეთრი ტერორის რეჟიმი; თავისი ცხოვრე-  
ბის და ბატონობის უზრუნველსაყოფად მთელი  
ქვეყნის ბურჟუაზია მიმართავს რევოლუციონური  
მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ უსაშინელეს  
სისასტიკეს, ტერორისტულ ზომებს, ბურჟუაზია  
ცდილობს მუშათა მასების რევოლუციონურ გზაზე  
შედგომის პროცესი შეაჩეროს რეპრესიებით, ცი-  
ხით, სახრჩობელებით.

თეთრი ტერორის მსხვერპლი ხდება ყოველ-  
წლიურად მრავალი ათასი რევოლუციონერი.

ამ გზით მსოფლიო ბურჟუაზიას საშუალება  
ეძლევა რამოდენიმე ხნით მაინც ხოცვა-ჭლეტით  
გაუმკლავდეს მსოფლიო რევოლუციისათვის მე-  
ბრძოლთ.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემ-  
დეგ საბჭოთა კავშირი გახდა მთელი ქვეყნის ტან-  
ჯულთა და დაჩაგრულთა იმედი. ყველა ქვეყანაში  
ჩამოყალიბდა და გამავრდა კომპარტია, რომელიც  
ახლა გამირულად იბრძვის მსოფლიო ოქტომბრისა-  
თვის. ამ ბრძოლაში ყველა ქვეყნის კომპარტიას  
ზურგს უმაგრებს გამარჯვებული საბჭოთა კავშირის  
პროლეტარიატი. ამიტომ არის, რომ ბურჟუაზია  
ასე შეუპოვრად ებრძვის კომუნისტური მოძრაობის  
ჩანასახებს და ათასობით ჰკლავს, აწამებს მუშათა  
კლასის და მშრომელი გლეხობის საუკეთესო წარ-  
მომადგენლებს.

პოლიტიკურ ტუსაღებს ეხმარება საერთაშო-  
რისო სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლ-  
თა დამხმარე საზოგადოება—„რემედასი“.

რემედასი დაარსდა 5 წლის წინათ ძველი  
რევოლუციონერების ხელმძღვანელობით. რევოლუ-  
ციონერებისათვის დასახმარებლად დაწესდა განსა-  
კუთრებული საწევრო გადასახადი, რომელიც სხვა  
შემოწირულობასთან ერთად ეგზავნებათ პოლიტ-  
ტუსაღებს და მათ ოჯახებს.

დღიდან თავისი არსებობისა, რემედასი ნივთი-  
ერ დახმარებას უწევს როგორც პოლიტ-ტუსაღებს,  
ისე მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე იმ პოლიტ  
ემიგრანტებს, რომლებიც ათასობით გაუბრძიან თეთრ  
ტერორს და მოდიან საბჭოთა კავშირში.

დღემდე გაწეული დახმარება როდი არის საკ-  
მარისი. რემედასს ჯერ კიდევ არა აქვს საშუალება  
საჭირო დახმარება აღმოუჩინოს კაპიტალის ყველა

ტყვეს. საჭიროა ათჯერ გაუმჯობესდეს ფინანსური  
მდგომარეობა, რომ საშუალება მიეცეს რემედასს  
მომავლისათვის შესძლოს უფრო ენერგიული დახ-  
მარების აღმოჩენა როგორც პოლიტ-ტუსაღების და  
მათი ოჯახის წევრების, ისე მრავალრიცხოვანი პო-  
ლიტ-ემიგრანტებისათვის, რომლებიც ათასობით მო-  
დიან კაპიტალისტური ქვეყნებიდან. ეს კი შესა-  
ძლებელი გახდება მას შემდეგ, როდესაც ყოველი  
მშრომელი შეიგნებს თავის მოვალეობას პოლიტ-  
ტუსაღების მიმართ და გახდება „რემედასის“ წევ-  
რი. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ  
კაპიტალისტურ ქვეყნებში მყოფ პოლიტ-ტუსაღე-  
ბისადმი დახმარების ამოცანა სავსებით გადაწყვეტი-  
ლი იქნება.

საკმარისი არ არის მარტო ნივთიერი დახმა-  
რება. ჩვენ პოლიტ-ტუსაღებს უნდა დავხმაროთ  
ზნეობრივადაც, ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ დასავლე-  
თის რევოლუციონერებს, რომ ისინი მარტო არ  
არიან ბრძოლის დროს, მიუხედავად იმისა, რომ  
ჩვენ ერთიმეორეს გვაშორებს თეთრი ტერორი და  
ბურჟუაზიული ციხე-სიმაგრეების შავი კედლები.

ჩვენ სულიერად ყოველთვის მათთან უნდა ვი-  
ყოთ და არასოდეს არ უნდა ვივიწყებდეთ კაპიტა-  
ლის ბრჭყალებს ქვეშ მოქცეულ მებრძოლთა მიმე  
ხვედრს.

18 მარტს, რემედასის დღეს, ნორჩმა პიონე-  
რებმა უნდა სთქვან თავისი სიტყვა.

პიონერებმა აგიტაცია-პროპაგანდა უნდა გას-  
წიონ ოჯახში, რომ ოჯახის ყველა წევრი გახდეს  
რემედასის წევრი.

პიონერებმა უნდა შეაგროვონ შემოწირულე-  
ბანი თავისი თანამომძმეების სასარგებლოდ, ამ თანა-  
მომძმეების სასარგებლოდ, იმ თანამომძმეთა, რომელ-  
თა მამებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუცი-  
ონური მუშაობისათვის არიან მოკლულნი, ან ცი-  
ხეებში არიან.

ამასთანავე პიონერებმა უნდა აწარმოონ კაპი-  
ტალისტურ ქვეყნებში მყოფ თავის თანამომძმეებთან  
მიწერ-მოწერა, გაამხნეონ ისინი და სხვა.

მაგრამ უმთავრესი მუშაობა პიონერებმა რე-  
მედასის სასარგებლოდ უნდა ჩატარონ სკოლაში,  
შეუკავშირებელ ბავშვთა შორის. აქ ბევრი რამის  
გაქეთება შეიძლება.

სკოლაში პიონერებმა უნდა ჩატარონ საუბ-  
რები რემედასის შესახებ, შექმნან რემედასის კუთხე,  
გამოუშვან რემედასის კედლის გაზეთი და სხვა.

მაშ, ნორჩო პიონერებო, რემედასის დღის ჩა-  
ტარებაში მიიღეთ აქტიური მონაწილეობა.

# ჩვენი სმოვნება და მუშაობა



## ჩვენი მუშაობა

(დ. ძირულა, შორაპნის მაზრა)

ნორჩ პიონერთა დ. ძირულის კოლექტივი დაარსდა 1925 წელს. ის ნაყოფიერად მუშაობს. ეს კოლექტივი შესდგება 90 წევრისაგან: აქედან ქალია 10, ვაჟი 80. მათში პიონერია 60, დანარჩენი კი ოქტომბრელებია. ჩვენი კოლექტივი მიმაგრებულია დ. ძირულის ს. ა. ლ. კ. კ. უჯრედზე, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს წევრების დახმარებით. აგრეთვე ვუშვებთ ყოველთვიურ ოგანოს, სადაც გაშუქებულია პიონერთა მუშაობა და მიხვედები და აგრეთვე ნაკლი. ვაწყობთ საღამოებს, ვასამართლებებს. ზაფხულის განმავლობაში საჯერ მოვაწყვეთ ექსკურსია, რის გამოც კმაყოფილი არიან პიონერების მშობლები და კრებებზე სიარულს არ უშლიან. აგრეთვე პიონერებს აქვთ თავისი საკუთარი სამკითხველო, სადაც აქტიურ მუშაობას აწარმოებენ პიონერები. თუმც ნაკლი აქვს ჩვენს კოლექტივს, მაგრამ ეს ნაკლი თანდათან გამოსწორდება.

გ. მაცაბერიძე

## გამოფენა

ხარავოული (შორ. მაზ.)

ა. წ. 1 იანვარს ხარავოულის ნ. პ. კ. კოლექტივებმა მოგაწყვეთ ჩვენი ნამუშევრების გამოფენა. გამოფენას დაესწრო სამაზრო ინსტრუქტორი. გამოფენაში მონაწილეობა მივიღეთ როგორ ადგილობრივმა, ისე სოფლის პიონერებმა.

დღის ორი საათია, კოლექტივებს კეკლუცად მოუწყვიათ თითოეულ მაგიდაზე თავისი ნამუშევრები; კომისია იწყებს ნამუშევრებას დათვალიერებას, რომ გამოიკვლიონ, ვის ერგება კონკურსი. მიდიან პირველ მაგიდაზე, სადაც სოფლის კოლექტივების ნამუშევრებია. იქ ვხედავთ, სხვათა შორის, ჰაეროპლანს და აგრეთვე მრავალ სასოფლო-სამეურნეო იარაღს; აგრ ვენახის სასხლავი მაგატელი, რომელსაც, თუ არ დაუკვირდებით, ძნელად გამოიცნობთ, თუ უბრალო ხისაა, თოხი, ბარი, კავი, ურემი და მრავალი სხვა, რაც თვითონ ბავშებს გაუკეთებიათ. გადადიან მეორე მაგიდაზე,

სადაც მუშაში სდგას წითლად შეღებილი ორთქლმავალი, რომელიც თათქოს თავს იწონებს, რომ ასეთი კობტა ნამუშევარია. ეს კუთხეც მდიდარია თავისი ნამუშევრით და აქაც მეტი ყურადღება სოფელს ექცევა; მათაც შეუვნიათ ლოზუნგი პირი სოფლისაკენ. მაღლიდან გადმოგვეყურებენ ბელადების სურათები, რომლებიც ძნელი გამოსაცნობია ფოტოგრაფიული სურათებისგან. აგრ კედლის ვახეთი, რომელიც მდიდარია სხვადასხვა ღირსშესანიშნავი მოწოდებით და სხვა. დათვალიერების შემდეგ კომისია ადგენს, რომ ჯილდო მიიღონ ადგილობრივმა კოლექტივებმა და სოფ. სხლით-ვანის კოლექტივმა.

რეზო ჭიპაშვილი.

## ვაწარმოებთ საზოგადოებრივ მუშაობას ლიხაური (გურია)

ჩვენს პიონერ-კოლექტივში პირველად 25 პიონერი იყო. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ამხ. რ. ჯაჯანიძე. ამხ. რ. ჯაჯანიძის კარგი მუშაობით ორგანიზაცია ადრე ავიდა 80 პიონერამდე. მაგრამ ეს ამხანაგი 1926 წელს წავიდა უმაღლეს სასწავლებელში. კოლექტივს ხელმძღვანელობდა დაენიშნა ამხ. ალექსანდრე საჯაია; მუშაობის კარგი დაყენებით ორგანიზაცია სწრაფად გაიზარდა რიცხვობრივადაც და თვითობრივადაც. კოლექტივი გაიყო ორად: № 1—ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის, და № 2—ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის. დღეს ამ ორ კოლექტივში ირიცხება 160 პიონერი და 74 ოქტომბელი. ამრიგად დაირაზმა ღარიბგლეხთა ბავშვების დიდი მასა. 1927 წლის გაზაფხულზე მოხდა 32 პიონერის გადარიცხვა კომკავშირში. პიონერებს შეადგენენ უმეტეს შემთხვევაში მოწაფეები, რადგან ჩვენში სკოლის გარეთ ბავშვები აღარ რჩება. 10 წლის თავზე გამართულმა ვარჯიშობამ გაკვირვებაში მოიყვანა ხალხი. ზაფხულზე შესრულებულ იქნა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა-საქმიანობა; გავეკეთეთ საბავშო მოედანი, მოგაწყვეთ ექსკურსიები აქარელ ბავშვებთან. 3 წლის წინ ვიყავით 25, ახლა ვართ 32 კომკავშირელი, 160 პიონერი და 74 ოქტომბრელი.

ლიხაურელი.

# გ უ ნ ე ზ ი ს ღ ი ა ლ უ ი.

— ბზზ, — გაისმა ჰაერში პროპელერის ხმა.

„იუნკერსი“ უღარდელად დასრიალობდა ჰაერში.

— შრომის სკოლის მოწაფენი მასწავლებლის ხელმძღვანელობით საექსკურსიოდ წასულიყვნენ ქალაქ გარეთ და, რა გაიგონეს ჰაეროპლანის ხმა, დაუწყეს მას ყურება.

ნეტავი ახლა ჩვენ ვისხდით ჰაეროპლანებში! — სთქვა ნიკომ.

— ჰინკრაქა დაიჭირე, ბიჭო, შეგვექი და ის აგაფრენს, — წაეხუმრა მას მიხა.

— მასწავლებლო, გუშინწინ კოლას მამას გედი მოეკლა იორზე.

— არა აბა და შენსავით ბედურებს დაერეოდა, აი! — უთხრა მას სანდრომ.

— მეც ვნახე; უჰ, რამხელა ყოფილა გედი, მასწავლებლო! ასე დიდი ფრინველი ჯერ არ მინახავს, — ჩაურთო სიტყვა თინამ.

მასწავლებელმა გაიღიმა.

— შენ გედის სიდიდე გაგაკვირვებია, უწინდელ დროში კი კაცზე მაღალი ფრინველიც იყო.


მოწაფეებმა ყურები სცქვიტეს.

— გვიამბე, მასწავლებლო, გვიამბე! — ასტყდა ჟრიაშული.

მასწავლებელმა დაიწყო.

— დედამიწის ზურგზე ძალიან ბევრი სხვადასხვაგვარი ფრინველია. ზოგი მათგანი დაფრინავს, ზოგს კი ფრენა არ შეუძლია, როგორც, მაგალითად, სირაქლემას. საერთოდ, ბუნებაში ყველა ცოცხალი არსება იბრძვის არსებობისთვის. იქ, სადაც ფრინველები თავს უშიშრად გრძნობდნენ, მათ არ სჭირდებოდათ ფრენა და ამიტომ თანდათანობით მოუდუნდნენ ფრთები და, ბოლოს, რამდენიმე თაობის შემდეგ, სულ გადაეჩვიენ ფრენას — ასე ფიქრობს ზოგი მეცნიერი, ზოგი კი იმ აზრისაა, რომ ზოგიერთი ფრინველების ზოგი ბარტყები სუსტები იჩეკებოდნენ და მათი შთამომავლობაც ჰაერში ფრენით თავს არ იწუხებდა, ვინაიდან ამისი უნარი არ ჰქონდა. მასკარენის კუნძულებზე მტრედები თანდათანობით ისე გასუქდნენ და გადიდდნენ, რომ ფრენა არ შეეძლოთ და გედის ოდენა გახდნენ. ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა ამ მტრედებს დრონტები დაარქვეს. ახლა ასეთი მტრედები აღარ არსებობს: მე-XVI და მე-XVII საუკუნეებში დამშუვლმა მეზღვაურებმა მთლიანად ერთიან „შეჭამეს“, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნე-

ლობით, ამ უზარმაზარი მტრედების აურაცხელი გუნდები. ჩვენამდე მოაწიად რონტების მხოლოდ სურათებმა და ძვლებმა.




ახალი ზელანდიის მოა.

ახლა გვიამბობთ სირაქლემას მოდგმის ფრინველის „მოას“ შესახებ. ეს ფრინველი ცხოვრობდა ახალ ზელანდიაში. ის ძალიან მაღალი იყო — 3 1/2 მეტრი (დაახლოვებით 5 არშინი). ეს უზარმაზარი ფრინველი ისე მოსპეს ველურმა პოლინეზიელებმა, რომ ერთიც კი არ გადაჩენილა ცოცხალი. როდესაც ევროპელებმა აღმოაჩინეს და შეისწავლეს ეს კუნძულები, „მოა“ უკვე ამოწყვეტილი იყო და ევროპის მუზეუმებს მხოლოდ მოას ძვლები, ბუმბული და კვერცხის ნაჭუჭები ერგო.

კუნძულ მაგადასკარზე ქაობის ტორფში ახლაც პოულობენ ხოლმე პირდაპირ წარმოუდგენელი სიდიდის კვერცხებს ეგრეთწოდებული „ეპიორნისისა“, ანუ მაგადასკარის სირაქლემის. მისი კვერცხი სიდიდით უდრის 184,62 ქათმის კვერცხს; იწონინდა ეს კვერცხი დაახლოვებით 9 კილოგრამს (22



გირვანქამდე) სირაქლემა ერთ დაღებაზე 15—20 კვერცხს სდებს; ვთქვათ, რომ „ეპიორნისი“ მხოლოდ 12 კვერცხს სდებდა. ეს რომ ქათმის კვერცხებზე გადავიტანოთ, გამოვა, რომ ის სდებდა 2215 ქათმის კვერცხს ერთ დაღებაზე. მეცნიერებმა იპოვეს ისეთი ფრინველების თავები, რომლებიც ცხენის თავს არ ჩამოუვარდებოდნენ არც სილიდით და არც სიმძიმით. ამ ფრინველებს საშინელი დიდი და მაგარი ნისკარტები ჰქონდათ. ახლა ეს ფრინველები აღარ არსებობენ, ისინი გაქრენ დედამიწის ზურგიდან, მაგრამ გაქრენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ აღამიანმა მოსპო ისინი, არამედ იმიტომაც, რომ მათ ფრენა არ შეეძლოთ და ამიტომ უფრო უმწეო იყვნენ, ვიდრე ჰაერში მონავარდე ფრინველები. ახლა კი, ბავშვობა, აღამიანმა ფრენაც ისწავლა, ასე რომ მას შეიძლება ვუწოდოთ „უფროთო ფრინველი“.




დრონტი.

— ბზზ, — ისპოდა ჰაერში პროპელერის ხმა. „იუნკერსი“ კოხტად დანავარდობდა ცის სივრცეში.

სფინქსი.


# მ ა ს ნ ი ე რ ე ბ ა ჯ ა მ ა ხ ნ ი ა ა



## უუუ-ლარსაი.

ავსტრალიის ტექნიკოსებმა გამოიგონეს ასეთი უუუ. ეს უუუ, როგორც ეგეა უუუ, უფრო და გამჭვირვალეა, მაგრამ ჩვეულებრივ უუუსზე უფრო გამძლეა. მთავარი განსხვავება ის არის, რომ ახალი უუუ ძალიან დრეკადია. ის ადვილად იღუნება და ამას კარდა შეიძლება მისი გაბურღვა, კარანდვა, გაშალაშინება. როდესაც კატეხთ, უუუსავით არ იმსხვრევა.

ჩვენ სურათზე ნახვენებია ახალი უუუსი შოლტი, რომელიც იღუნება, როგორც უბრადო ხის შოლტი.



# ჭ ა ო რ ა კ ი

## თამაშის ბოლო

**პარტიის დაყოფა.** ჭადრაკის თეორია პარტიას სამ ნაწილად ჰყოფს; პირველი ნაწილი თამაშის დასაწყისი სტადიაა, ანუ **დებიუტი**; მეორე **შუა თამაში** და უკანასკნელი **ენდშპილი** (თამაშის ბოლო). თეორია ყველაზე სუსტად შუა თამაშს იცნობს; სამაგაეროდ ყოველმხრივ არის შესწავლილი დებიუტები და განსაკუთრებით კი ენდშპილი. ეს არც გასაკვირველია: თამაშის ბოლო გამარტივებული ბრძოლაა, ბრძოლაში მონაწილე ფიგურების რიცხვი მცირეა და ამიტომ თვით ბრძოლის ველის დათვალიერება უფრო ადვილია. შუა თამაში კი ათასნაირ ხლართს შეიცავს, უამრავი კომბინაციის შესაძლებლობას ატარებს, ბრძოლის ველი ხილული და უჩინარი თხრილებითაა დასერილი, რომელ ნაბიჯზე აფეთქდება დანაღმული ნიადაგი—გამოცნობა ძნელია.

ჩვეულებრივად ენდშპილის შესწავლიდან იწყებენ ხოლმე, შემდეგ დებიუტებზე გადადიან და ბოლოს შუა თამაშს იხილავენ. ჩვენც ამ წესს დავიცავთ. მით უმეტეს, რომ ფიგურის ძალა და სუსტი მხარე უფრო ენდშპილშია თვალსაჩინო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტიის ასეთნაირი დაყოფა (დებიუტი, შუა თამაში, ენდშპილი) რამოდენიმე დელოგურია; ძნელია კაცმა მიჯნა დასდოს და სთქვას—აი აქ თავდება დებიუტი, აქ შუა თამაში, და აი აქ იწყება ენდშპილი. ამ სტადიების ერთიმეორისკენ გარდამავალი მომენტების დაჭერა და აღნუსხვა შეუძლებელია. ჭადრაკის თეორია ამა თუ იმ სტადიის რამოდენიმე მთავარ დამახასიათებელ თვისებას იღებს და ამის მიხედვით ჰყოფს პარტიას სამ ნაწილად.

**ენდშპილი.** ენდშპილი შემდეგი ძირითადი, მთავარი მომენტებით ხასიათდება: 1. მეფე, რომელიც წინა ორ სტადიაში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ბრძოლაში და სულ იქით ისწრაფოდა, რომ მყუდრო, უხიფათო ადგილას ყოფილიყო მინაბული, ახლა თამაშის ბოლოს მხურვალე მონაწილეობას იღებს ხელჩართულ ბრძოლაში და ძალიან მნიშვნელოვან ფიგურასაც წარმოადგენს. 2. ბრძოლის ველი განხლავთებულია, რაც გადარჩენილ ფიგურებს გასაქანსა და ძალას ჰმატებს. 3. ბრძოლაში მონაწილე კოჭების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.

რასაკვირველია, შეიძლება თამაში შუა სტადიაში და დებიუტშიაც კი დამთავრდეს; მაგრამ ეს როდი იქნება ენდშპილი, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ და რომელიც ჭადრაკის თეორიამ თავისი შესწავლის საგნად გაიხადა. აქ ნაგულისხმევა ისეთი ბოლოები, რომელიც შემოთ ნაჩვენები სამი თვისებით ხასიათდება, — როდესაც მოახლოვებულია თამაშის ბუნებრივი დასასრული, თუნდაც სუსტი მხარე სავსებით მარტებულად იცავდეს თავს.

**ბავშური და სულელური შამათი.** მაგალითად, ენდშპილად არ ჩაითვლება თამაშის ასეთი დაბოლოებები, რომელიც ან ახლად დაწყებულ, გამოუცდელ მოთამაშეს ან და სულშითაღ წყალწაღებულ მოჭადრაკეს თუ დაემართება (იხ. დიაგრ. № 1);

აქ ოდნავ დაკვირვებული თვალი უმაღვე შეიტყობს, რომ თეთრები სამარეს უთხრიან შავ მეფეს და საკმარისია ერთი ნაბიჯის გადადგმა, ერთი დარტყმა, რომ თეთრებმა გამარჯვება იხეიონ. შავები კი ვერ გრძნობენ მათ თავზე აღმართულ მახვილს და არხეინად თამაშობენ:

3. . . . d7—d6.

რაზედაც თეთრები შამათით უპასუხებენ:

4. ლ f3: f 7X.

ამას ბავშური შამათი ეწოდება.

მაგრამ არის ამაზე უფრო უხირო შამათიც, რომელსაც სავსებით ღირსეული სახელი აქვს მიკუთვნებული—სულელური ანუ რეკვენის შამათი:

1. f2—f3

2. g2—g4

ბერლინში ერთ-ერთ შეჯიბრებაზე მეტად საუფლისხმო შემთხვევა მომხდარა; დაუწყიათ ასე:

1. e2—e4

2. e4 : d5


ამ მომენტში თეთრებს შეცთომით მეფისთვის წაუფლიათ ხელი და, თანახმად მიღებულ წესისა, აუცილებლად მეფით უნდა ეთამაშნათ. მეფეს კი მხოლოდ ერთი სავალი გზა აქვს:

3. e1—e2,


რასაც სწრაფი შამათი მოჰყვას ლ d5—e4X.

ეს შემთხვევა საუცხოვო დასაბუთებაა იმისი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჭადრაკში მიღებულ წესების დაცვას და რა დიდი სიფრთხილეა საჭირო. ერთი პატარა გაუფრთხილებელი მოძრაობა—და უღმობელი, სწრაფი დაკვრით პარტია წაგებულია!

**ენდშპილის დაყოფა.** თამაშის ბოლოები სამ მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. 1. როდესაც ორივე მხარე ძალებისა და მდგომარეობის მხრივ სავსებით თანასობა ისეთი ფიგურის ყოლაში გამოიხატება, რომლის საშუალებითაც მოპირდაპირის მეფის დამამათება შეუძლებელია. მაგალითად, შავებსა და თეთრებს ჰყავთ თითო მეფე და თითო ლაზიერი დიაგრამაზე აღნიშნულ მდგომარეობაში (იხ. დიაგრ. № 2). ცხადია, —წესიერი თავდაცვის პირობებში ვერც ერთი მხარე ვერ გაუკეთებს მეორეს შამათს. ასევე იქნება, თუ ერთ-ერთ მხარეს მარტო მეფე ჰყავს, მხოლოდ მეორე მხარეს მეფე და ერთი კუ, მეფე და ერთი მხედარი, მეფე და ორი მხედარი და სხვა; 2. როდესაც სუსტ მხარეს მხოლოდ მეფე ჰყავს, ხოლო ძლიერს მეფის გარდა სხვა ისეთი კოჭები, რომელთა საშუალებითაც შამათის გაკეთება შესაძლებელია და 3. როდესაც ორივე მხარეს მეფეების გარდა სხვა კოჭებიც ჰყავს, ხოლო საშამათო უპირატესობა ერთ-ერთის მხარეზეა. ენდშპილის თეორიის საგანს უმთავრესად ორი უკანასკნელი ჯგუფი შეადგენს, რომლის განხილვასაც შევუდგებით.




დიაგრამა № 1.



შამათი ლაზიერით. ჯერ მეორე ჯგუფის ენდშილს განვიხილავთ: პირველ ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ აქ შამათი ლაზიერით, ეინიდან იგი ყველაზე ძლიერი ფიგურაა და შამათსაც ადვილად აკეთებს. რა თქმა უნდა, მარტო ლაზიერს მეფის დაუხმარებლად, არ შეუძლია შამათის გაკეთება. მეფე აქ

ბატონო მოწინააღმდეგის მეფე ერთ-ერთ განაწილს ხაზზე უნდა განიდეწოს და შემდეგ ლაზიერისა და მეფის საშუალებით ვაშკეტდეს შამათი. მაგრამ ასეთ შემთხვევებში როგორც შამათია ადვილი, ისე ფათაც. თუ, რა თქმა უნდა, ძლიერმა შარემ საკმაოდ ვულისყური არ გამოიჩინა (იხ. დიაგ. № 3).




დიაგრამა № 2.

ამ დიაგრამაზე მოგვეყავს შამათი ლაზიერის საშუალებით, როდესაც შავი მეფე უკვე განდევნილია კიდეზე და თეთრი მეფე მიახლოვებულია მასთან. აქ ერთი სვლა საკმარისია, რომ შამათი გამოვიდეს. ლაზიერი h1-ზე მივა, თუ h2-ზე მეფეს ქიშსა და შამათს გამოუტყდება, ვინაიდან თეთრ მეფეს გამაგრებული აქვს სამი უჯრა e6, e5 და e4, ხოლო ლაზიერი, სამ უჯრას ემუქრება h6, h4-ს და აგრეთვე h5-საც, რომელზედაც მეფე ზის.

მაშასადამე, რა პოზიციაც გინდა ექიროსსუსტი მხარის მეფეს, ძლიერი მხარე იმას უნდა ცდილობდეს გაანაპიროს მოწინააღმდეგის მეფე და შეჰქმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც ზემოთ არის აღნიშნული. მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. თეთრი მეფე d3-ზე ზის, ლაზიერი b1-ზე, ხოლო შავი მეფე a4-ზე. პირველი სვლა თეთრებისა:

1. მ d3-c4

რა სვლაც გინდა ვააკეთოს შავმა მეფემ, მეორე სვლაზე მაინც შამათია. შავი მეფის განკარგულებაში მხოლოდ ორი უჯრაა: a5 და a3, თუ a5-ზე წავიდა, მაშინ ლ b1-b5 და შამათი! თუ a3-ზე-ლ b1-b3 და შამათი.



დიაგრამა № 3.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ადვილია აგრეთვე ფათაც. აქ თეთრებს სიფრთხილე ჰმართებთ, თორემ მოგეპოვება ზელს ფათად გაათავებენ. თამაში რომ შავებისა იყოს, მას სავალი მხოლოდ ერთი აქვს h8, რაზედაც თეთრები უპასუხებდნენ f1-f8. მაგრამ ჯერით თეთრებს რომ

უწევდეთ თამაში და ლაზიერი f6-ზე დასვან, ამით თეთრი მის გამოლცხადებლივ შავ მეფეს წაართმევენ იმ უჯრად, რომელიც ერთ გზასაც (h8-ს), და თამაში უშედეგოდ დამთავრდება.

ავილოთ სუსტი მხარისათვის საუკეთესო მდგომარეობა (იხ. დიაგრ. № 4); მიუხედავად ამისა, თეთრებმა შამათი g9, გაქირდეს 10 სვლაში უნდა ვაუკეთონ. შავ მეფეს ასეთ მდგომარეობაში, როგორც ვიცით, რვა გზა აქვს; მაგრამ ახლა მის განკარგულებაში მხოლოდ ექვსი უჯრაა: d4-სა და e5-ს ლ h8 ემუქრება. თეთრების მიზანია შავ მეფეს თანდათან შეუვიწროონ სამოქმედო არე და თანაც ნაპირა რიგისკენ გარიყონ. ამიტომ

1. მ c1-d2                      მ d5-e4

2. ლ h8-d8

ამ სვლით მეფეს d, c, b, a ვერტიკალებისაკენ გზა ეკვრება.

2.                                      მ e4-e5

3. მ d2-e3                      მ e5-f5


4. ლ d8-e7

შავი მეფე სავრძობლად არის შეზღუდული, რვა სვლიდან მის განკარგულებაში მხოლოდ ორძლია, ისიც იმ ვერტიკალზე, რომელიც მას ხიფათს უახლოვებს.

4.                                      მ f5-g6

5. მ e3-f4

მეფე იძულებულია უკანასკნელ პოზიზონტალზე დადგეს-ან h6-ზე ან h5-ზე.



დიაგრამა № 4.

5.                                      მ g6-h6.

თეთრები რომ აჩქარდენ და ლაზიერი f7-ზე დასვან, ფათა იქნება; ამიტომ

6. მ f4-f5.

შავებს მხოლოდ ერთი გზა აქვთ, მათთვის აშკარად დამლუპველი, მაგრამ მაინც სავალდებულო. ისეთ სვლას, რომელიც აუცილებლად უნდა გაკეთდეს და რომელიც ზელსაყრელი არაა იმისთვის, ვინც მას აკეთებს, ვერმანულოდ ცუგცვანგი ეწოდება. შავებიც სწორედ ამ ცუგცვანგს აკეთებენ

6.                                      h6-h5

რაზედაც თეთრები საშამათო სვლით უპასუხებენ

7. ლ e7-g5

მკითხველი რომ დააკვირდეს პირველ და მეცამე შამათის მაგალითში მეფეების პოზიციას, მნახავს, რომ ისინი ერთიმეორის პირდაპირ სხედან, მათ შორის მხოლოდ ერთი უჯრაა და ერთიმეორეს სამ უჯრას უკრავენ. მეფეების ასეთ მდგომარეობას თპოზიცია ეწოდება. სავრთოდ თპოზიცია ეწოდება მეფეების ისეთ მდგომარეობას, როდესაც მათ შორის ვერტიკალითა თუ დიაგონალით უჯრების კენტი რიცხვი იმყოფება. მაგრამ ჩვეულებრივ ხმარებაში თპოზიციის ეს ფართე ცნება შეიზღუდა და ახლა თპოზიციად მხოლოდ ზემოთ ნაჩვენებ მდგომარეობას სთვლიან.

გამოდის

1928 წ.

გამოდის

თრკვირძული საშინაო და სახარტო

ჟურნალი

მოზრდილთათვის

# პიონერი

წელიწადი III

წარნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქარტველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულუბაა გამოიწერონ

## პიონერი

მოიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.

ექვს თვეს — 3 მან.

სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელები (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკულაქიო კოლეჯია.